დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	,, შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმი''
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**შპს**
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	216441358

ავტორიზაციის მოპოვების საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს:

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✔
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✔
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✔
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას	

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ქვემო ქართლი, ქალაქი რუსთავი**
იურიდიული მისამართი	ქ. რუსთავი, ახმეტელის ქ.#10

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ფაქტობრივი მისამართი	ქ. რუსთავი, ახმეტელის ქ.#10
საფოსტო ინდექსი	3700
დაწესებულების ვებ-გვერდი	www.srs.edupage.org
დაწესებულების ელ-ფოსტა	Shotarustaveli07@gmail.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	0341253446 597 01 12 40
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	**მარეხი ყანჩაველი**
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	557 54 73 49
ელ-ფოსტა	n.yanchaveli@gmail.com

III. ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

მონიტორინგის განხორციელების საფუძველი	ავტორიზაციის პირობების შესრულების, კერძოდ, დაწესებულების მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების 2 ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით გათვალისწინებული სტანდარტების შესრულების შემოწმება; საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის **2020 წლის 25 თებერვლის #238106 ბრძანება.**
მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე და წევრები (სახელი, გვარი)	ეკატერინე კვირიკაშვილი - ჯგუფის თავმჯდომარე; ნოდარ ანგურიძე - ჯგუფის წევრი.
ვიზიტის განხორციელების პერიოდი	26, 27, 28 თებერვალი, 2020 წელი;
დასკვნის მომზადების თარიღი	6 მარტი, 2020 წელი
დასკვნის წარმოდგენის თარიღი	9 მარტი, 2020 წელი

შენიშვნა: მონიტორინგის მიზნებიდან გამომდინარე შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

IV. მონიტორინგის ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☐	☒
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☐	☒
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☐	☒
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☐	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.	**მუხლი 6 /**	☐	☒

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**პუნქტი დ)**		
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☐	☒
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	საშუალებებით			
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☐	☒
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☐	☒
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☐	☒

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	არსებობს:			
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი 3. ა)**	☐	☒
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი 3. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი 3. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი 3. დ)**	☐	☒
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი 3. ე)**	☐	☒

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☐	☒
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	***საგანმანათლებლო პროგრამები***	***ხარვეზი***

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ქვესტანდარტი	1.1. სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.	სასკოლო სასწავლო გეგმა, როგორც დოკუმენტი არ არის ერთიანი, დანომრილი ნაწილებითა და დანართებით. სასკოლო სასწავლო გეგმაში საათობრივი ბადე არ განსაზღვრავს მოსწავლეთა აუცილებელ კვირეული და წლიური ჯამური საათების ოდენობას კლასების, სემესტრების და საგნების მიხედვით. საკითხები, რომელიც საჭიროებს სამინისტროსთან დასაბუთებას/შეთანხმებას ისეა სსგ-ით დამტკიცებული, რომ სკოლას არ აქვს სამინისტროსგან უკუკავშირი მიღებული, არ არის შეთანხმებული. საკლასო ჟურნალსა და ასევე ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eschool)-ში შეტანილია კლასების მიხედვით გაკეთებული საგნების ჩამონათვალი, რომელიც არ ემთხვევა სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებულ ჩამონათვალს. სასკოლო საათობრივ ბადეში სრულყოფილად არ არის აღნიშნული როგორც სავალდებულო და არჩევითი საგნები, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და/ან ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. არჩევითი და დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების (სავალდებულო) სახით შეთავაზებული საგნების შემაჯამებელი

		დავალებების მინიმალური/მაქსიმალური რაოდენობა სსგ-ით უნდა იყოს განსაზღვრული. ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით არ არის დაზუსტებული და განსაზღვრული I-IV კლასებში შემაჯამებელი სამუშაოების მინიმალური ოდენობები და მეტიც, ფაქტობრივად არც ტარდება. არ არის დაცული სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილებისადმი მოთხოვნა. სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს : IX და XI კლასებში სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარების განრიგი: 8 გაკვეთილი - IX კლასში, 4 გაკვეთილი - XI კლასში. ასევე პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების განრიგი: მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმების ობიექტებში ექსკურსიების და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრების განრიგი. **ამით დაირღვა ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანება;** საგანში, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება მოსწავლემ

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

		ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა ჩააბარა არა წერითი ფორმით, ტესტირების გზით, არამედ ონლაინ. სკოლას არ შეუდგენია აღნიშნულ საგანში ტესტები, დაცული არ იყო კონფიდენციალურობა და ნაშრომის გასწორების წესი. **ამით დაირღვა ,,ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის #18/ნ ბრძანება;**
	1.2. სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.	სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი გაკვეთილების განრიგი, თანხვედრაში არ მოდის გაკვეთილების ცხრილთან და ფაქტობრივ მდგომარეობასთან. მაგ. განრიგით 1 კლასის მოსწავლეებს აქვთ 35 წუთიანი გაკვეთილები, მაშინ, როცა ცხრილითაც და ფაქტობრივადაც მოსწავლეებს უტარდებათ 45 წუთიანი გაკვეთილები. **ამით დაირღვა ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანება;**
	1.3. სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს	სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად სკოლას არ აქვს შემუშავებული მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის იდენტიფიცირების მექანიზმები და მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.	სირთულის პირველადი მართვის სტრატეგიები. **ამით დაირღვა ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის #16/ნ ბრძანება;** განათლების აღიარების დოკუმენტში მითითებული კლასის შესაბამისად მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისას, სკოლას არ აქვს მიღებული ყველა გონივრული ზომა სკოლაში უკვე ჩარიცხული მოსწავლისთვის მიეცა მის საჭიროებაზე და შესაძლებლობაზე მორგებული შესაბამისი განათლების მიღების შესაძლებლობა, შეედგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და უზრუნველყო მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასება. **ამით დაირღვა საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

		დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და **უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და** **საფასურების დამტკიცების შესახებ საქართველოს** **განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის** **#98/ნ ბრძანება;**
	1.4. სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.	დამატებითი სავალდებულო საგნის სასწავლო გეგმა, არ აზუსტებს შეფასების ფორმასა (ქულა, ჩათვლა) და პრინციპებს. ასევე, არჩევითი საგნები, რომელიც მოსწავლეებისთვის განსხვავებული სქემით არის შეთავაზებული, არ მოიცავს შემაჯამებელი სამუშაოების მინიმალურ ოდენობას. აქედან გამომდინარე მოსწავლეების შეფასება და ნიშნის გამოყვანა არ ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად. **ამით დაირღვა ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანება;**
	1.5. შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების	სკოლაში არ არის უზრუნველყოფილი მოსწავლის დისციპლინისა

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით.	და აკადემიური მიღწევის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა. **ამით დაირღვა პერსონალურ მონაცემთა შესახებ საქართველოს კანონი.** სკოლას, მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება, დადგენილი წესით არ აქვს გაგზავნილი მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენლისთვის. **ამით დაირღვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში** **მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის** **დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და** **მეცნიერების მინისტრის, 2017 წლის 11 იანვრის #04/ნ ბრძანება;** სკოლას, სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 10 დღისა მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების საშუალებით არ აქვს მიწოდებული ინფორმაცია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

		ღონისძიებებზე პასუხისმგებელი გათვალისწინებული პირების/უწყებების ნომრების, ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ. **ამით დაირღვა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის #06/ნ ბრძანება.**
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	2.2. სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.	სკოლის ყველა სართულზე არ არის მოწყობილი ტუალეტები გოგონებისა და ბიჭებისათვის. სკოლაში არსებულ ყველა ხელსაბანში უზრუნველყოფილი არ არის ხელის გასამშრალებლისა (ელექტროსაშრობი ან ქაღალდის პირსახოცის დისპენსერი) და ნარჩენების კალათის (უკონტაქტო) ხელმისაწვდომობა. მოსწავლეებს არ აქვთ გამომუშავებული ხელების დაბანის, წყლისა და სანიტარიის საშუალებების სწორად მოხმარების, გამოყენების წესებისა და მოვლ-პატრონობის უნარ-ჩვევები. სკოლის ადმინისტრაციის მიერ დადგენილი არ არის სანიტარიული კვანძის დასუფთავების წესები, პერიოდულობა, დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარისა და გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის არ გამოიყენება სპეციალურად ამ მიზნებისათვის განკუთვნილი, სათანადოდ მარკირებული ინვენტარი, რომელიც ინახება განცალკევებით და ექვემდებარება

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

		დამუშავებას ყოველი სამუშაო დღის დასრულების შემდგომ. **ამით დარღვეულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის №01-40/ო ბრძანებით დამტკიცებულ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციასთან (გაიდლაინი - წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში);**
	2.4. სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის (როგორც ვაჟი, ისე გოგონა) არ არსებობს შესაბამისად მოწყობილი სველი წერტილი; არ არის დაცული სველ წერტილში შესასვლელი მინიმალური ზომები ა) 122 × 142 სმ (როცა შესვლა ხდება განივი მხრიდან) ბ) 122 × 167 სმ (როცა შესვლა ხდება გრძივი მხრიდან). **ამით დარღვეულია საქართველოს მთავრობის N41-ე დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემეტების ტექნიკური რეგლამენტის თაობაზე“.**
	2.6. სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	გამოკრული საევაკუაციო გეგმები არ არის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში. არ არის მოშლილი კიბის ქვემოთ მოწყობილი სათავსო. **ამით დარღვეულია სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად; კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.	**უსაფრთხოების ზედამხედველობამ მიწერილობა #1775;** არ ხდება სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგი და კონტროლი. **ამით დარღვეულია „სასკოლო კვების ორგანიზების შესახებ რეკომენდაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 მაისის N 410 ბრძანება და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის №01-40/ო ბრძანებით დამტკიცებულ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციასთან (გაიდლაინი - წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში);** დადგენილი წესით არ ხდება მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა. მასწავლებლების მხრიდან ჟურნალის წარმოება ხდება ხარვეზებით. ჟურნალებზე პასუხისმგებელი პირი სათანადოდ არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და რაც მთავარია, სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების სისტემა არაეფექტურია. **ამით დარღვეულია „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2013**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

		წლის 22 აგვისტოს ბრძანება # 114/ნ ბრძანება; სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებული არ არის ვიდეოთვალთვალის შესახებ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი. ვიდეოთვალთვალის განხორციელება ხდება საკლასო ოთახში. **ამით დარღვეულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი.**
	2.9. დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა.	გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალში არ ხდება გასული დოკუმენტების ზუსტი აღრიცხვა. ოქმები არ ინომრება რიგითი ნომრებით კალენდარული წლის ფარგლებში. ბრძანების გამოცემისას არ ხდება ნუმერაციის დადგენილი წესით მინიჭება. ერთი და იგივე ბრძანებას აქვს ორი ნომერი და ორი თარიღი. ერთი და იგივე ნომრით გამოცემულია სხვადასხვა ბრძანებები. დარღვეულია სასკოლო სასწავლო გეგმის მთლიანობა **ამით დარღვეულია ,,საქმისწარმოების ერთიანი წესების" დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ, 1999 წლის 1 ივლისის ბრძანებულება №414;**
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	***საგანმანათლებლო პროგრამები***	***რეკომენდაცია***
ქვესტანდარტი	1.1.სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.	1.1. საათობრივი ბადემ განსაზღვროს მოსწავლეთა აუცილებელ კვირეული და წლიური ჯამური საათების ოდენობას კლასების, სემესტრების და საგნების მიხედვით. საკითხები, რომელიც საჭიროებს სამინისტროსთან დასაბუთებას/შეთანხმებას ჯერ შეთანხმდეს/დასაბუთდეს და შემდეგ დამტკიცდეს სასკოლო სასწავლო გეგმით. საკლასო ჟურნალსა და ასევე ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eschool) -ში დაფიქსირდეს კლასების მიხედვით გაკეთებული იმ საგნების ჩამონათვალი, რომელიც დამტკიცებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. ეროვნული სასწავლო გეგმის 23-ე მუხლის მიხედვით, სასკოლო საათობრივ ბადეში აღინიშნოს როგორც სავალდებულო და

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

		არჩევითი საგნები, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და/ან ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. მოსწავლეებისთვის საგანი არჩევითი სახით იქნება შეთავაზებული თუ დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების (სავალდებულო) სახით, სკოლამ განსაზღვროს შემაჯამებელი დავალებების მინიმულური/მაქსიმალური რაოდენობა. სკოლამ დაიცვას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის #18/ნ ბრძანებით დამტკიცებული ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულება. სასკოლო სასწავლო გეგმით დაზუსტდეს და განისაზღვროს I-IV კლასებში შემაჯამებელი სამუშაოების მინიმალური ოდენობები. სკოლამ განსაზღვროს სასკოლო სასწავლო გეგმის ყველა შემადგენელი ნაწილი: IX და XI კლასებში სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარების განრიგი: 8 გაკვეთილი - IX კლასში, 4 გაკვეთილი - XI კლასში. ასევე პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამით

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

		გათვალისწინებული სხვა აქტივობების განრიგი: მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმების ობიექტებში ექსკურსიების და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრების განრიგი. რადგან ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების წესი, ეს გულისხმობს იმას, რომ დოკუმენტი იყოს ერთიანი, დანომრილი ნაწილებითა და დანართებით. ეს არ გამორიცხავს რომ სკოლამ ცალკე შეიმუშავოს და დაამტკიცოს მაგ: ინკლუზიური განათლების სტრატეგია, თუმცა ზოგადი პრინციპების დონეზე აღწერა სასკოლო სასწავლო გეგმაში უნდა ფიქსირდებოდეს.
	1.2.სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.	1.2. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი გაკვეთილების განრიგი, თანხვედრაში მოვიდეს გაკვეთილების ცხრილთან და ფაქტობრივ მდგომარეობასთან. მაგ. განრიგით 1 კლასის მოსწავლეებს აქვთ 35 წუთიანი გაკვეთილები, მაშინ, როცა ცხრილითაც და ფაქტობრივადაც მოსწავლეებს უტარდებათ 45 წუთიანი გაკვეთილები.
	1.3.სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების	1.3. იმისთვის, რომ სკოლაში სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობები იყოს და ნებისმიერი საჭიროებებისა და ინტერესების მქონე მოსწავლეს შეეძლოს სრულფასოვნად ჩაერთოს სასწავლო პროცესში, აუცილებელია სკოლამ შეიმუშაოს

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.	მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის იდენტიფიცირების მექანიზმები და მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვის სტრატეგიები და დაიცვას ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის **#16/ნ** ბრძანება. სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად, სკოლამ შეიმუშაოს უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების თავსებადობის დადგენის საკითხებთან დაკავშირებით სკოლაში მოქმედი წესი და განუხრელად დაიცვას საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის #98/ნ ბრძანება.
	1.4.სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.	1.4. მეათე კლასში არჩევითი საგნის შეცვლასთან დაკავშირებით სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო, მოსწავლეთა შეფასების საკითხი სკოლამ მოიყვანოს ესგ-ს მოთხოვნებთან

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.	შესაბამისობაში. დამატებითი სავალდებულო საგნის სასწავლო გეგმამ, დააზუსტოს შეფასების ფორმას (ქულა, ჩათვლა) და პრინციპები. დაზუსტდეს იმ მოსწავლეების შინ სწავლების პროცედურები, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე.
	1.5.შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით.	1.5. სკოლამ დაიცვას პერსონალურ მონაცემთა შესახებ კანონი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2017 წლის 11 იანვრის **#04/ნ** ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანება.
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	2.2. სკოლაში არის საგანმანათლებლო	2.2. სკოლის ყველა სართულზე მოაწყოს ტუალეტები გოგონებისა

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.	და ბიჭებისათვის. სკოლაში არსებულ ყველა ხელსაბანში უზრუნველყოს ხელის გასამშრალებლისა (ელექტროსაშრობი ან ქაღალდის პირსახოცის დისპენსერი) და ნარჩენების კალათის (უკონტაქტო) ხელმისაწვდომობა. ჰიგიენის საკიტხები შეიტანოს კურიკულუმში და ხელი შეუწყოს ხელების დაბანის, წყლისა და სანიტარიის საშუალებების სწორად მოხმარების, გამოყენების წესებისა და მოვლ-პატრონობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. სკოლის ადმინისტრაციამ დაადგინოს სანიტარიული კვანძის დასუფთავების წესები, პერიოდულობა, დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარისა და გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის გამოყენებულ იქნას სპეციალურად ამ მიზნებისათვის განკუთვნილი, სათანადოდ მარკირებული ინვენტარი, რომელიც ინახება განცალკევებით და ექვემდებარება დამუშავებას ყოველი სამუშაო დღის დასრულების შემდგომ.
	2.4. სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.	2.4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის (როგორც ვაჟი, ისე გოგონა) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოეწყოს სველი წერტილი;
	2.6. სკოლაში დაცულია პერსონალისა და	2.6.1. შესრულდეს სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობამ მიწერილობა #1775;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად; კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი	2.6.3. სკოლის ექიმი დაიცვას სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ექიმის დებულება და უნდა შეასრულოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 მაისის „სასკოლო კვების ორგანიზების შესახებ რეკომენდაციის დამტკიცების თაობაზე“ N 410 ბრძანება; 2.6.4. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები სკოლამ მოიყვანოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში; სკოლამ დაიცვას „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2013 წლის 22 აგვისტოს ბრძანება # 114/ნ; დირექტორმა შეიმუშაოს თანამშრომელთა მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების ეფექტიანი მექანიზმი და იმოქმედოს სკოლის მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის შესაბამისად; 2.6.5. სკოლამ დაიცვას პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი და სასწავლო სივრცეებიდან მოხსნას ვიდეო კამერები;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.	
	2.9. დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა.	2.9. გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალში მოხდეს გასული დოკუმენტების ზუსტი აღრიცხვა. ოქმები დაინომროს რიგითი ნომრებით კალენდარული წლის ფარგლებში. ბრძანების გამოცემისას მოხდეს ნუმერაციის დადგენილი წესით მინიჭება. სასკოლო სასწავლო გეგმა აიკინძოს მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლამ დაიცვას გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა და ,,საქმისწარმოების ერთიანი წესების" დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ, 1999 წლის 1 ივლისის ბრძანებულება №414;
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის	**საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ სკოლაში ხდება სამივე საფეხურის მოსწავლეების ადგილზე კვებით უზრუნველყოფა.**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

მაგალითი	**სკოლის შენობაში უხვად ვხვდებით მოსწავლეთა ნამუშევრებს, რაც პოზიტიურ, წამახალისებელ გარემოს ქმნის.** **სკოლაში კარგი პირობებია შექმნილი ჭადრაკის შესწავლისთვის.**

დაწესებულების მისია	შპს „შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის“ მისიაა: საგანმანათლებლო საქმიანობა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი ძირითადი მიზნების შესაბამისად; უზრუნველყოს უსაფრთხო და პოზიტიური გარემო; აღზარდოს ინფორმირებული, ტექნოლოგიური მიღწევის ეფექტიანად გამოყენების უნარისა და თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი აკადემიური განათლების მქონე, მაღალი ზნეობის, პატრიოტული სულისკვეთების, მულტიკულტურული და ტოლერანტული, კანონმორჩილი პიროვნება, რომელიც გააცნობიერებს თავის პასუხისმგებლობას ქვეყნის ინტერესების, ტრადიციების, ისტორიული და კულტურული ღირებულებების მიმართ, თავად შექმნის ღირებულებებს და საკუთარ წვლილს შეიტანს საზოგადოების წინსვლაში, ხელს შეუწყობს არაქართულენოვან კონტიგენტს (სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეთა უმრავლესობა არაქართველია) სახელმწიფო ენის გაძლიერებულ სწავლებაში, მეგობრული ურთიერთობების განვითარებაში; მოამზადოს მოსწავლეები საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისათვის; ხელი შეუწყოს ერებს შორის მეგობრობის, სწორუფლებიანობის, თანაარსებობისა და ტოლერანტობის განმტკიცებას.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	

IX . ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

1. საგანმანათლებლო პროგრამები

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებულია 06.09.2019. წ. პედაგოგიური საბჭოს #1 ოქმით. **იხ. დანართი #1 და დანართი #2.** წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია : სკოლის მისია; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიზნები და ამოცანები საფეხურების მიხედვით; სასკოლო საათობრივი ბადე; ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა; სასწავლო კალენდარი; გაკვეთილების განრიგი; გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით; ინკლუზიური განათლება; მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები; საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპები; შეფასების სქემა; დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა; სასკოლო ორიენტირები; სასწავლო რესურსის ჩამონათვალი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის 21-ე მუხლის, მეოთხე პუნქტის თანახმად, განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილები: **ა) სკოლის მისია** (წარმოდგენილია); **ბ) სასკოლო საათობრივი ბადე**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	მოგეხსენებათ, საათობრივი ბადე განსაზღვრავს მოსწავლეთა აუცილებელ კვირეული და წლიური ჯამური საათების ოდენობას კლასების, სემესტრების და საგნების მიხედვით. რაც წარმოდგენილი დოკუმენტით არ მტკიცდება (წლიური საათების ჯამური ოდენობა არ არის წარმოდგენილი, მოცემულია **მხოლოდ კვირეული საათობრივი დატვირთვა).** შემუშავებული და სამინისტროსთვის დასაბუთების (თუ როგორ შეუწყობს ხელს სკოლის მიერ განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის სტანდარტის შედეგების მიღწევას) გარეშე, 2019 წლის **6 სექტემბერს** დამტკიცებული აქვს საათობრივი ბადის III მოდელი. აღნიშნული დასაბუთება ერთი დღის შემდეგ, 2019 **წლის 7 სექტემბერს** წერილით **#3/129 (იხ. დანართი #3)** გაგზავნილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში. წარმოდგენილი კორესპონდენცია არის ცვლილების აღწერილობა და არა დასაბუთება, რადგან დასაბუთება უნდა მოიცავდეს: 1. ცვლილების მიზნებს და ამოცანებს (რეალისტური, გაზომვადი, დროში მიღწევადი) ცვლილების არსს და რატომ ფიქრობს სკოლა, რომ ასე უკეთ შეძლებს ზგემ-ის, მისიისა და ესგ-ის მიღწევას? 3. ცვლილების წინაპირობას (რა გარემოებებმა განაპირობა კონკრეტული მოდელის არჩევანი და ზოგადად, ცვლილების აუცილებლობა. 4. რესურსების (ადამიანური, მატერიალური) ხელმისაწვდომობის დასაბუთებას. 5. ცვლილების მოსალოდნელ რაოდენობრივ და თვისებრივ შედეგებს (როგორც მოკლევადიანს (სემესტრის ბოლოს), ისე გრძელვადიანს (წლის ბოლოს) 6. რისკების ანალიზს. 7. ცვლილებების მონიტორინგისა და შეფასების მექნიზმებს, ინსტრუმენტებს. 8. ცვლილებების მდგრადობას (როგორ წარმოუდგენია ცვლილების განვითარება სკოლას სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, რა მექანიზმებით მოხდება ცვლილების განხორციელებით მიღებული დადებითი შედეგის/შედეგების შენარჩუნება და გაუმჯობესება). თუ სკოლა ამტკიცებს საათობრივი ბადის III მოდელს, რა აზრი აქვს დამტკიცების შემდეგ დასაბუთების გაგზავნას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში? ამასთან, დაზუსტებული ინფორმაცია მაქვს, რომ სამინისტროს აქვს

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	პრაქტიკა, როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლასთან მიმართებით, როცა დასაბუთებასთან დაკავშირებით აფიქსიებს საკუთარ პოზიციას და უკუკავშირს აძლევს სკოლას. შპს „შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმს“ ისე აქვს ჯერ დამტკიცებული და შემდეგ წარმართული სასწავლო პროცესი საათობრივი ბადის III მოდელის მიხედვით, რომ სამინისტროს პოზიცია მისთვის უცნობია. მოკვლევის შედეგად, აღმოჩნდა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულ საათობრივ ბადეში კლასების მიხედვით გაკეთებული **საგნების ჩამონათვალს, საკლასო ჟურნალსა და ასევე ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eschool) შეტანილ ზოგიერთ საგანს შორის აცდენა იყო.** კერძოდ, მეათე კლასში, სსგ-ში არჩევით საგნად დაფიქსირებული იყო **მსოფლიო კულტურა,** მაშინ, როცა eschool-ში ფიქსირდებოდა საგანი **კინოხელოვნება. იხ. დანართი #4** ამასთან დაკავშრებით, სკოლის დირექტორმა გააკეთა შემდეგი განმარტება: 2020 წლის 6 იანვარს, მეორე სემესტრის დაწყებამდე, სკოლის საჭიროებაზე დაყრდნობით, ცვლილება შევიდა სასკოლო სასწავლო გეგმაში და მეათე კლასისთვის არჩევით საგნად განისაზღვრა კინოხელოვნება, რაც დასტურდება პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი **#3**. **იხ. დანართი #5** აღსანიშნავია ის, რომ საგანი, რომელიც ჩაანაცვლეს (მსოფლიო კულტურა), არის ერთმოდულიანი საგანი, რომელის ხანგრძლივობა არის ორი სემესტრი, ხოლო კინოხელოვნება არის ორმოდულიანი საგანი, რომლის თითო მოდულის ხანგრძლივობა არის ერთი სემესტრი (სკოლამ შესაძლებელია სურვილის მიხედვით ასწავლოს ან მხოლოდ ერთი მოდული, ან ორივე მოდული). საგანში მსოფლიო კულტურა, წლიური ნიშანი გამოითვლება ორი სემესტრის ნიშნის საშუალო არითმეტიკულით და ბუნებრივია, პირველ სემესტრში ამ საგნის სწავლების შეწყვეტა, შეფასებასთან დაკავშირებით პრობლემებს შექმნიდა. ამასთან დაკავშირებით სკოლამ განმარტა, რომ 2020 წლის 13 იანვარს (ანუ, გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი კვირის შემდეგ) წერილით **#3/192** მიმართეს საქართველოს განათლების, მეცნიერების,

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	კულტურისა და სპორტის მინისტრს, სადაც აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით, მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით ითხოვდნენ თანხმობას. 2020 წლის 16 იანვარს, სკოლაში შემოსულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის, ქალბატონი ლალი კალანდაძის #37949 წერილი, საიდანაც ცნობილი ხდება, რომ სამინისტროს აღნიშნული გადაწყვეტილება **მიზანშეწონილად არ მიაჩნია,** თუმცა საგნის შეცვლასთან დაკავშირებით კერძო სკოლას შეეძლო გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიეღო. **იხ. დანართი #6** მეთორმეტე კლასის ჟურნალში საგნების ჩამონათვალში დაფიქსირებული იყო „აბიტური“, მაშინ, როცა აბიტურის საათისთვის" განკუთვნილი კვირეული დატვირთვა საათობრივ ბადეში მოცემული არ არის. "აბიტურის საათის" ჩატარების საჭიროება, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით (ფაკულტატური ან სავალდებულო სახით) გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება , შესაძლებელია განისაზღვროს კონკრეტული სკოლის მიერ და დარეგულირდეს სასკოლო სასწავლო გეგმით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. **იხ. დანართი #4** სკოლის დირექტორის განმარტებით, ეს არ იყო სავალდებულო და მოსწავლეს შეეძლო მიეღო ასეთი მომსახურება ან არა. ამის გათვალისწინებით კიდევ უფრო გაუგებარია აბიტურის ჟურნალში საგანთა ჩამონათვალში დაფიქსირება. ამასთან, გაკვეთილის ცხრილი ისეა აგებული, რომ ე.წ. არასავალდებულო გაკვეთილები ხვდება სავალდებულო საგნებს შორის, რაც აჩენს მოსწავლეთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით კითხვებს, კერძოდ: სად მიდიან მოსწავლეები, მაგ. მესამე გაკვეთილზე, თუ მათ არ უნდათ ე.წ. აბიტურზე დასწრება? ვინ უზრუნველყოფს მათ მოძრაობაზე მონიტორინგს? ასეთივე პრობლემაა სხვა კლასებშიც. მაგ. მეხუთე კლასში **მეექვსე** გაკვეთილზე ცხრილში დაფიქსირებულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ცეკვა (წრე), მაშინ, **როცა მეშვიდე** გაკვეთილზე განსაზღვრულია საგანი, ჩვენი საქართველო. სკოლის განცხადებით ასეთი მექანიზმი შემუშავებული არ აქვთ, რადგან არ ჰქონიათ ასეთი შემთხვევა. მათი თქმით, თუ მოსწავლე მოდის სკოლაში, ის აუცილებლად ესწრება ცხრილით განსაზღვრულ ყველა საგანს.
საათობრივ ბადეში V-VI კლასებისთვის მითითებულია	**მესამე უცხო ენა** (თუმცა არ არის დაზუსტებული რომელი ენა). ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მესამე უცხოურ ენა (არჩევითი საგანი, ისწავლება X-XII კლასებში). კერძო სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ნებისმიერი საგანი შესაძლებელია ისწავლებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილისაგან განსხვავებული სქემით. მოსწავლეებთან გასაუბრების და საგაკვეთილო ცხრილის დათვალიერების შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ მოსწავლეები მე-5 და მე-6 კლასში სწავლობდნენ 4 უცხო ენას, რომელთაგან მხოლოდ 1-ში ფასდებოდნენ ჩაეთვალა/ არ ჩაეთვალა პრინციპით (აზერბაიჯანული/თურქული ენა). მიუხედავად იმისა, რომ კერძო სკოლას უფლება აქვს ნებისმიერი საგანი განსხვავებული სქემით ასწავლოს (არჩევითი საგანი - უცხო ენა, რომელიც ესგ-ს მიხედვით მხოლოდ მესამე საფეხურზე ისწავლება) ეროვნული სასწავლო გეგმის 31-ე მუხლის მიხედვით, **არჩევით საგნებში მოსწავლე უნდა ფასდებოდეს ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.** ამან გამოიწვია გაუგებრობა და დირექტორს ვთხოვეთ განმარტება. დირექტორის თქმით, სასკოლო სასწავლო გეგმაში (საათობრივ ბადეში) არასწორი ჩანაწერია გაკეთებული და სინამდვილეში, მე-5 და მე-6 კლასში გერმანული ისწავლება არა როგორც მესამე უცხო ენა, არამედ, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება(სავალდებულო სახით), ხოლო რაც შეეხება მეოთხე უცხო ენას, ეს არის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება (ფაკულტატური სახით).
eschool-ში მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის მიხედვით ფიქსირდებოდა	შემდეგი მდგომარეობა:

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	III-VI კლასის ჩათვლით და X-XII კლასის ჩათვლით შეთავაზებულია თურქული, როგორც მესამე უცხო ენა; VIII-IX კლასებში თურქული შეთავაზებულია როგორც მეორე უცხო ენა; IX კლასებიც, როგორც მეორე ენას, სწავლობენ თურქულს, თუმცა IX ა კლასი პარალელისგან განსხვავებით 1 საათით მეტი დატვირთვით სწავლობს და ამ 1 საათს ატარებს სხვა მასწავლებელი; V-IX კლასებში გერმანეული შეთავაზებულია, როგორც მეორე უცხო ენა; V-XII რუსულიც ისწავლება, როგორც მეორე უცხო ენა. ფაქტობრივი მდგომარეობით ვიცით, რომ მოსწავლეები სწავლობენ აზერბაიჯანულ ენასაც, ასევე სსგ-ით I-VI კლასებში განსაზღვრულია, როგორც დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობა, თუმცა, eschool-ში არც ერთ მასწავლებელზე არ არის განკუთვნილი აზერბაიჯანული ენის საათები. **იხ. დანართი #2** **ეროვნული სასწავლო გეგმის 23-ე მუხლის მიხედვით, 2. სასკოლო საათობრივ ბადეში უნდა აღინიშნოს როგორც სავალდებულო და არჩევითი საგნები, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და/ან ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება (რაც დარღვეულია).** სასკოლო სასწავლო გეგმაში 1. არ არის ზუსტად განსაზღვრული ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება მოსწავლისთვის შეთავაზებული სავალდებულო თუ ფაკულტატური სახით. 2. დამატებითი

	სავალდებულო საგნის სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს: ა) საგნის სწავლების მიზნებს (სადაც ჩამოყალიბებული იქნება, თუ რა ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების შეძენას ითვალისწინებს ეს კურსი); ბ) შეფასების ფორმასა (ქულა, ჩათვლა) და პრინციპებს (რაც ასევე არ არის გაწერილი). მიუხედავად შეფასების ფორმისა, ესგ-ს მიხედვით, სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები უნდა ფასდებოდნენ შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით: ა) მიმდინარე საშინაო დავალება; ბ) მიმდინარე საკლასო დავალება; გ) შემაჯამებელი დავალება. **შესაბამისად, მესამე უცხო ენა არჩევითი სახით იქნებოდა თუ დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების (სავალდებულო) სახით, შემაჯამებელი დავალებების მინიმულური/მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრული უნდა ყოფილიყო. ვინაიდან ეს ასე არ არის, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დარღვეულია ესგ-ს 34 მუხლი - ქულების გამოანგარიშების წესიც.** დირექტორმა ვიზიტის განმავლობაში დააზუსტა კლასების მიხედვით ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ფორმები (სავალდებულო, წრე), თუმცა შეფასებებთან დაკავშირებით ასეთი დაზუსტება არ გვაქვს **(იხ.**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	დანართი #7). სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლა მოსწავლეებს პირველ უცხოურ ენად პირველი კლასის პირველი სემესტრიდანვე სთავაზობს ინგლისურ ენას; მე-5 და მე-6 კლასში სკოლა მოსწავლეებს მეორე უცხოურ ენად სთავაზობს ორ ენას - რუსულსა და გერმანულს. მოსწავლეები სასწავლო წლის დასაწყისში სურვილისამებრ აირჩევენ და ისწავლიან სასურველ ენას (თუმცა როგორ, ეს არ არის განმარტებული); სკოლა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს დამატებითი სავალდებულო საგნების სახით ასევე სთავაზობს ჭადრაკსა და ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. საბაზო-საშუალო საფეხურზე სპორტის სახეობების ჩამონათვალიდან სკოლამ აირჩია სამი სახეობა, რაც შესაძლებლობას მისცემს გოგონებსა და ბიჭებს, თანაბრად დაეუფლონ გუნდურ ან ინდივიდუალურ სპორტის სახეობებს. ეს სახეობებია: 1. კალათბურთი; 2. მაგიდის ჩოგბურთი; 3. ფეხბურთი; **სასკოლო სასწავლო გეგმაში დამატებითი საგნების გათვალისწინების და ასევე საათობრივ ბადეში კვირეული დატვირთვის გაზრდის გამო, სკოლა მოსწავლეებს უზრუნველყოფს სათანადო დასვენებითა და კვებით.** **სასკოლო საათობრივი ბადე ასევე მოიცავს თითოეული კლასის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს კვირის რომელ დღეს, რა თანამიმდევრობით და დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება;** წარმოდგენილ საათობრივ ბადეში ასეთი განრიგი არ იყო. ვიზიტისას მოგვიტანეს საგაკვეთილო ცხრილი, რომელიც არც დანართია, არც ბრძანებით არის დამტკიცებული.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	გ) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით(წარმოდგენილია**);** **დ) მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა);** სკოლას არ აქვს გამოყენებული მათთვის მინიჭებული თავისუფლება, ნიშნის შემადგენელი კომპონენტების, მათი წონის, შეფასების განსხვავებული სისტემის, რომელსაც შესაძლოა გაეთვალისწინებინა სემესტრული და წლიური ქულების მოქმედ 10-ქულიან სისტემაში კონვერტაციის, საგნის/საგნების დაძლევის ბარიერის, წლიური გამოცდის განსხვავებული წონის ნაწილში. შესაბამისად, მოსწავლის შეფასების პრინციპები სრულად თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან. სასკოლო სასწავლო გეგმით დაშვებულია მხოლოდ სემესტრული, საშემოდგომო და ექსტერნი გამოცდების ჩატარების შესაძლებლობა. საშემოდგომო გამოცდასთან დაკავშირებით, სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს ჩატარების წესი და პროცედურა, მათ შორის განსაზღვრულია ვადა: **შპს „შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმი“ საშემოდგომო გამოცდებს ჩაატარებს წერილობით ტესტირების ფორმით, 2020 წლის 29 აგვისტოდან 07 სექტემბრის ჩათვლით.** **რაც ზღუდავს მოსწავლის უფლებებს, რადგან სკოლის მიერ შესაძლებლობის დავიწროება არღვევს ეროვნული სასწავლო გეგმის 36-ე მუხლით მიცემულ**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	არჩევანს: საშემოდგომო გამოცდა უნდა ჩატარდეს სასწავლო წლის დასრულებიდან არაუადრეს ორი კვირისა და მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე. რაც შეეხება ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდას. სკოლაში ვიზიტისას, მიმდინარეობდა გამოცდები. დერეფანში გამოკრული იყო განრიგი (იხ. დანართი). ბიბლიოთეკაში დანართის მიხედვით იმ დროს უნდა ყოფილიყო გამოცდა საგანში საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოებაში XI კლასისთვის, ხოლო სამოქალაქო განათლებაში მეათე კლასისთვის. ბიბლიოთეკაში არავინ დაგვხვდა ბიბლიოთეკარის გარდა. მისი თქმით, მოსწავლეები უკვე იყვნენ, დაასრულეს და დროზე ადრე დატოვეს საგამოცდო სივრცე (რასაც მოწმობდა უწყისში გაკეთებული ხელმოწერები). დავინტერესდი მოსწავლეების მიერ შესრულებული ნამუშევრებით და ასევე მეთვალყურის ადგილმდებარეობით. როგორც აღმოჩნდა, მეთვალყურე მ. გელაშვილი იმ დღეს საერთოდ არ იმყოფებოდა სკოლაში, ხოლო საგანში საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება, ტესტები არ არსებობდა (მეთვალყურე – რესურსცენტრის მიერ უფლებამოსილი პირი, რომელიც მეთვალყურეობას უწევს ექსტერნატის გამოცდის ჩატარების პროცესს). დირექტორის მოადგილის განმარტებით, მოსწავლემ გამოცდა ჩააბარა ონლაინ (http://martva.myauto.ge/). ვცადე აღნიშნულ საიტზე შესვლა, თუმცა ვერ მოვახერხე, რადგან ეკრანზე ჩნდებოდა წარწერა, რომელიც გვაუწყებდა, რომ გვერდი დროებით მიუწვდომელი იყო. **იხ. დანართი #8** აღნიშნულით დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის #18/ნ ბრძანებით დამტკიცებული ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულება, კერძოდ: მუხლი 3, პუნქტი 2: ზოგადი განათლების კლასის/კლასების, ცალკეულ კლასში

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა ტარდება წერითი ფორმით, ტესტირების გზით. ამავე დებულების თანახმად, ექსტერნატის გამოცდის ჩატარების უზრუნველყოფისათვის, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული საგამოცდო ტესტების შექმნას და მათ ექსტერნატის გამოცდაზე მიტანას უზრუნველყოფს შესაბამისი სკოლა და პასუხისმგებელია საგამოცდო ტესტების კონფიდენციალობის სრულ დაცვაზე. **აღნიშნული მოთხოვნა ასევე დარღვეულია.** ტესტზე მუშაობის დაწყებამდე ექსტერნი უნდა დარწმუნდეს, რომ მისთვის გადაცემული საგამოცდო ტესტურ დავალებათა რვეული და პასუხების ფურცელი არ არის დაზიანებული, რასაც იგი ადასტურებს საგამოცდო სექტორის უწყისში ხელმოწერით. ასევე სამუშაოს დამთავრების შემდეგ საგამოცდო ტესტის ჩაბარებისას ხელი მოაწეროს საგამოცდო უწყისში (რაც გაკეთებული იყო კიდეც, უბრალოდ საინტერესოა, რაზე მოაწერა მოსწავლემ ხელი, როცა ტესტი არც გადასცემია და არც ჩაუბარებია). აქედან გამომდინარე თავისთავად შეუძლებელია იქნება ამავე დებულების **მუხლი 12.** (ექსტერნების ნაშრომების გასწორება) და საჭიროების შემთხვევაში **მუხლი 15.** (გასაჩივრების წესი) დაცვა. **მართალია, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების მინიმალური ოდენობები V-XII კლასებში, თუმცა არ არის გაწერილი შემაჯამებელი დავალების კომპონენტში საგნებისა და კლასების მიხედვით შერჩეული კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები; შემაჯამებელი დავალებების ტიპები არის ზოგადი და მწირი.** **მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შეფასების პრინციპებში გაწერილი აქვს I-IV კლასებში შემაჯამებელი დავალების შეფასების ფორმა, თავად შემაჯამებლის ოდენობა და ტიპები არ აქვს განსაზღვრული. კათედრებთან, დირექციასთან**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	გასაუბრებით გაირკვა, რომ არა თუ გაწერილი არ აქვთ, პირველად მიაქციეს ყურადღება ამ ჩანაწერს და ბუნებრივია, სკოლაში, I-IV კლასებში არ ტარდება შემაჯამებელი სამუშაოები. სასკოლო სასწავლო გეგმაში არ არის გაწერილი კლასების მიხედვით ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი სავალდებულო და არჩევითი საგნის შემაჯამებელი სამუშაოების მინიმალური/მაქსიმალური ოდენობები. **იხ. დანართი #2** **გაწერილია შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები, მასწავლებლის მიერ მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაციის ანალიზის, ანალიზის შემდგომი ქმედებები, კათედრაზე წარდგენის ვადები და ფორმა, თუმცა არაფერია ნათქვამი შემაჯამებელი დავალებების დაგეგმვაზე. დირექტორის მოადგილესთან ინტერვიუს დროს, დავინტერესდი როგორ იგეგმებოდა შემაჯამებელი სამუშაოები და არსებობდა თუ არა რაიმე დამამტკიცებელი საბუთი/ შემუშავებული ინსტრუმენტი. რაზეც მან განაცხადა, რომ პროცესი მინდობილია კათედრებისთვის, რომ ეს ცოცხალი პროცესია და მატერიალური სახით არანაირი დასაბუთება არ არსებობდა.** მიუხედავად იმისა, რომ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმები სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია, რეალურად კათედრებზე ანალიზის სხვა ფორმებს იყენებენ. გამოყენებული ფორმები, განსხვავებით სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულისა, ვერ უზრუნველყოფს სრულფასოვან ანალიზს. ამის დასტურია წარმოდგენილი დანართები. აღსანიშნავია ის, რომ შემთხვევით

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	შერჩეულ საგნებში, მთელი სემესტრის განმავლობაში საგანში ყველა შემაჯამებელი სამუშაო ორიენტირებულია ერთი და იგივე შედეგების გაზომვაზე, ისიც მაქსიმუმ 2 ან 3. ამის გარდა, შემაჯამებელი სამუშაოს ნანახი დოკუმენტები არ შეესაბამება სასკოლო სასწავლო გეგმით გაწერილ მოთხოვნებს. კერძოდ, მაგ ბიოლოგიის შემაჯამებელი სამუშაო. **იხ. დანართი #9** **ე) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი ჩამონათვალი, საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა;** როგორც ზემოთ აღვნიშნე, ასეთი ტიპის ჩამონათვალთან დაკავშირებით ბევრი გაუგებრობაა. ასევე არ არის განსაზღვრული დამატებითი სავალდებულო საგნის სასწავლო გეგმა, შეფასების ფორმა და პრინციპები. **ვ) ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (საჭიროების შემთხვევაში) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის** (სკოლაში არ არის სსსმ მოსწავლე**);** სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილად სკოლას საერთოდ არ აქვს განსაზღვრული: **IX და XI კლასებში სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარების განრიგი: 8 გაკვეთილი - IX კლასში, 4 გაკვეთილი - XI კლასში. ასევე პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამით**

	გათვალისწინებული სხვა აქტივობების განრიგი: მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმების ობიექტებში ექსკურსიების და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრების განრიგი; რითაც ირღვევა სასწავლო გეგმის მუხლი 21-ის მოთხოვნა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	პედაგოგიური საბჭოს #1 ოქმი 06.09.2019 წ; 2019-2020 წწ. სასკოლო სასწავლო გეგმა; 2019 წლის 7 სექტემბერის წერილი #3/129; პედაგოგიური საბჭოს #3 ოქმი 06.01.2020 წ; 2020 წლის 13 იანვრის წერილი #3/192; წერილი #37949; საგაკვეთილო ცხრილი; შემაჯამებელი სამუშაოების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტები; ინტერვიუს შედეგები.
შეფასება:	☐**ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გარდა ამ ეროვნული სასწავლო გეგმით განსზღვრული სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებისა, სასკოლო საზოგადოებისთვის და ყველა დაინტერესებული მხარისთვის სასკოლო სასწავლო გეგმა (ვინაიდან ამ დოკუმენტის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა სავალდებულოა) უნდა უზრუნველყოფდეს, ეროვნული სასწავლო გეგმაში დეკლარირებული სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული და კონცეპტუალური საკითხების მისაღწევი გზებისა და საშუალებების აღწერას. ეს მნიშნელოვანია, რათა დავრწმუნდეთ, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. ამ მოსაზრებას სკოლა იზიარებს და ამის დასტურია ის, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში შეტანილი აქვს ისეთი საკითხები, როგორიცაა: **ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიზნები და ამოცანები საფეხურების მიხედვით;** სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული საფეხურის ამოცანები, რომელიც წესით უნდა პასუხობდეს მისიას და აზუსტებდეს ესგ-თი გათვალისწინებული სამივე საფეხურის მისიის მიღწევის გზებსა და საშუალებებს. სსგ-ში გაწერილი ამოცანები ზოგადია და არ პასუხობს ზემოთ დასახელებულ კრიტერიუმებს. გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო

	გეგმაში არ არის მითითებული რა ენაზე ახორციელებს სკოლა სწავლას. ამის გარდა მაგ. პირველ კლასში დასახული ამოცანა, **შესაძლებლობის ფარგლებში საკლასო გარემო იყოფა რამდენიმე ნაწილად, რომელთაგან მინიმუმ ერთი დასვენებასა და თავისუფალ აქტივობას ეთმობა,** არსებული ინფრასტუქტურის პირობებში შეუძლებელია შესრულდეს: 1. საკლასო ოთახების ზომის 2. ფიზიკური დათვალიერების დროს ნანახი რესურსების გამო. **ბ) გაკვეთილების განრიგი;** სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია გაკვეთილების განრიგი, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის გაკვეთილების ცხრილთან და ფაქტობრივ მდგომარეობასთან. მაგ. განრიგით 1 კლასის მოსწავლეებს აქვთ 35 წუთიანი გაკვეთილები, მაშინ, როცა ცხრილითაც და ფაქტობრივადაც მოსწავლეებს უტარდებათ 45 წუთიანი გაკვეთილები. **იხ. დანართი #4** **გ) ინკლუზიური განათლება;** სასკოლო სასწავლო გეგმაში ზოგადად არის გაწერილი ინკლუზიური განათლების პრინციპები. სკოლაში არ სწავლობს სსსმ ბავშვი. შესაბამისად, არ არის შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებიც. გაწერილია სსსმ მოსწავლის შინ სწავლების პროცედურები, თუმცა არ არის დაზუსტებული იმ მოსწავლეების შინ სწავლების პროცედურები, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე. ასევე სკოლას არ ჰქონდა გაწერილი ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი. აღნიშნულით დარღვეული იყო

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის **#16/ნ** ბრძანება. თუმცა, ხარვეზი ვიზიტის პერიოდში გამოსწორდა და შემუშავებული წესი 2020 წლის 28 თებერვალს დამტკიცდა ბრძანება **#2/19**-ით. **იხ. დანართი #10** **დ) საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპები;** სასკოლო სასწავლოო გეგმაში ზოგადად არის გაწერილი საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპები. მითითებულია, რომ სკოლაში არის 8 საგნობრივი კათედრა, თუმცა ჩამოთვლილია მხოლოდ 5: 1.ქართული ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა; 2. დაწყებითი საფეხურის კათედრა 3. მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა; 4. უცხოური ენების კათედრა; 5. ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა; გაწერილი პრინციპები იმეორებს ეროვნული სასწავლო გეგმით მოთხოვნილ ვალდებულებებს მაშინ, როცა კონკრეტული სკოლისთვის უნდა იყოს განსაზღვრული როგორ, რა მექანიზმებით უზრუნველყოფს სკოლა კათედრისა და მისი თავმჯდომარის ფუნქციების განხორციელების ხელშეწყობასა და მონიტორინგს. როგორ უზრუნველყოფს სკოლა კათედრის ეფექტიანად ფუნქციონირებას, პროფესიული განვითარებისა და თანამშრომლობის რომელი ფორმებია დანერგილი კათედრის შიგნით/კათედრათა შორის. კათედრას აქვს მუშაობის დამადასტურებელი ოქმები. შემუშავებული აქვთ

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	შეფასების სქემები და რუბრიკები. **ე) დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა;** სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილი საკითხები იმეორებს ეროვნული სასწავლო გეგმით მოთხოვნილ ვალდებულებებს. მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტული სკოლისთვის იყოს დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა, ექსკურსიების განხორციელების წესი და ა.შ. ასევე მნიშვნელოვანია გაწერილი იყოს როგორ, რა მექანიზმებით უზრუნველყოფს დამრიგებელი ესგ-ით გაწერილი პრინციპებით მუშაობას, ხოლო სკოლა დამრიგებლის მუშაობის წარმართვასა და მისი მოვალეობების შესრულების ზედამხედველობას. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ ჰქონდა დაზუსტებული ექსკურსიების განხორციელების წესი, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 31 მაისს **#719** ბრძანებით დამტკიცდა (კონკრეტულ სკოლაში ექსკურსია როგორ იგეგმება, ვერ იქნება გაწერილი საერთო წესში), შერჩევით გამოთხოვილი დოკუმენტების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ სკოლას ზედმიწევნით აქვს **დაცული ამ წესის მეორე (ექსკურსიის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის მოვალეობები) და მესამე (ტრანსპორტირების წესი) მუხლები. სკოლას ვიზიტის განმავლობაში შევთავაზეთ, რომ წესი დაეზუსტებინათ სკოლისთვის** (ვინაიდან მნიშვნელოვანია მოსწავლემ, მასწავლებელმა და მშობელმა თავიდანვე იცოდნენ ექსკურსიის ტიპები, სიხშირე და ა.შ. (რაც არ არის წესში მოცემული)), სკოლამ უარი განაცხადა.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	3) სასკოლო ორიენტირები; ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და სკოლის მისიის მიღწევის პროგნოზირებისთვის, მნიშვნელოვანია სასკოლო სასწავლო გეგმით დაზუსტებული იყოს: ა) სწავლა-სწავლების დროს როგორ გაითვალისწინებს სკოლა იმას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით. ბ) მოსწავლეთა საჭიროებების შეფასების მიზნით, სკოლაში გაწერილი უნდა იყოს მოსწავლის მიღების პროცედურები (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, მობილობის მსურველის ჩარიცხვამდე, გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე, დაადგინოს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან თავსებადობა. ამასთან, პროცედურები უნდა განმარტავდეს, როგორ ხდება მოსწავლის სკოლაში მობილობის შემთხვევაში, მოსწავლისთვის შედგენილი საგნის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საშუალებით უზრუნველყოფა მოსწავლის მიერ იმ სავალდებულო საგნის სტანდარტის შედეგების დაფარვა, რომელი საგანიც მას ჯერ არ ჰქონდა გავლილი სკოლაში, საიდანაც გადმოვიდა, და/ან მიმღებ სკოლაში ამ საგნის სწავლება უკვე დაწყებულია ან დასრულებული). ასევე უნდა იყოს დეკლარირებული განვითარების თანაბარი შესაძლებლობის მისაცემად, სკოლა როგორ უზრუნველყოფს მოსწავლეებს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესით - ინდივიდუალური მიდგომისას სხვადასხვა მეთოდის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებას. გ) როგორ უზრუნველყოფს სკოლა სიღრმისეულ სწავლებას: სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ცნებების

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენა და საერთო ასპექტების დამუშავება. დ) რა სტრატეგიებს იყენებს სკოლა, რათა გაიზარდოს მოსწავლეთა მოტივაცია. ე) როგორ განუვითარებს სკოლა მოსწავლეებს საკუთარი მოვალეობების გააზრების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უნარ-ჩვევები. ასევე, რა მექანიზმებით უზრუნველყოფს სკოლა მშვიდი და საქმიანი გარემოს შექმნას. ვ) რა სტრატეგია აქვს სკოლას, რათა მასწავლებელმა უზრუნველყოს მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა სასწავლო პროცესში. როგორ უზრუნველყოფს იმას, რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ ერთმანეთს დაეხმარონ და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა-სწავლების პროცესშიც. **ზ) სასწავლო რესურსის ჩამონათვალი.** სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი, რომელიც ხელმისაწვდომია (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სხვ.) მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია: ა) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები **(თუმცა, მერვე კლასის ნაწილი სახელმძღვანელოები არ არის მითითებული. ჩამონათვალში იყო** მხოლოდ: ქართული ენა და ლიტერატურა; მათემატიკა; ბიოლოგია; ისტორია; გეოგრაფია, ინგლისური ენა; რუსული ენა**)**; ბ) დამხმარე ლიტერატურა; გ) საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები (კომპაქტური დისკები;

	პროექტორები); დ) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები და სხვ.); ე) ბიბლიოთეკა, ბუნებრივი გარემო და სხვ. მათემატიკა: საანგარიშო, მაგნიტური დაფა, რიცხვები მაგნიტური სამაგრით, გეომეტრიული ფიგურები, სახაზავი, სანტიმეტრი, საათი, წამზომი და ა.შ ქართული: ქართული ანბანი, თემატური პლაკატები და ა.შ საზოგადოებრივი მეცნიერებები: რუკები, ნახევარსფეროების ფიზიკური რუკა, მაგნიტები, კომპასი, გლობუსი და ა.შ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ლაბორატორიის სრული კომპლექტი, მულაჟების, პლაკატები, რეაქტივები და ა.შ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: ნატურიდან ხატვისთვის საჭირო სხვადასხვა თვალსაჩინოება, დეკორატიული და გეომეტრიული ფიგურები, მხატვრების ალბომები და პლაკატები, ფანქრები, სახატავი მასალები, ფურცლების საჭრელი დაფა და ა.შ.. მუსიკა: პიანინო, კომპაქტ დისკები, მაგნიტოფონი, ხმის გამაძლიერებელი და ა.შ სპორტი: ბურთები, ჭადრაკის დაფები, ჰულაჰუპები; მაგიდის ჩოგბურთის აღჭურვილობა და სხვა. **სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	თ) სასწავლო კალენდარი; წარმოდგენილია და სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან: სასწავლო წელი ითვალისწინებს ორ სემესტრს. სასწავლო წელს ორ სემესტრად ყოფს ზამთრის არდადეგები. 2019-2020 სასწავლო წლის დაწყების თარიღია: 2019 წლის 16 სექტემბერი, ხოლო დასრულების - 2020 წლის 15 ივნისი; I კლასის მოსწავლეთათვის 2019-2020 სასწავლო წლის დასრულების თარიღია: 2020 წლის 27 მაისი; XII კლასის მოსწავლეთათვის 2019-2020 სასწავლო წლის დასრულების თარიღია: 2020 წლის 20 მაისი; 2019-2020 სასწავლო წლის პირველი სემესტრი მთავრდება 2019 წლის 27 დეკემბერს. მეორე სემესტრი იწყება 2020 წლის 15 იანვარს; სასწავლო კვირა ხუთდღიანია, საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია 6 დღიანი სწავლებაც. კერძოდ, 6 დღიანი სწავლება დასაშვებია: ა) თუ სასწავლებელს აქვს ყოველდღიური საათობრივი ბადის განტვირთვის სურვილი. ამ დროს სასწავლო გეგმით განსაზღვრული კვირეული საათები უნდა გადანაწილდეს 6 დღეზე; ბ) თუ სკოლაში გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო გაცდა სასწავლო დღე/დღეები. გ) თუ ობიექტური მიზეზების გამო სკოლა მიზანშეწონილად მიიჩნევს, კვირის რომელიმე დღე

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	განისაზღვროს დასვენების დღედ. **სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი არ არის სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ისეთი ადმინისტრაციული და კონცეპტუალური საკითხების მისაღწევი გზებისა და საშუალებების აღწერა, როგორიცაა:** **ა) მოსწავლეთა რაოდენობა კლასში და განაყოფები** (მართალია სსგ-ში დაუნომრავ გვერდზე შემდეგი ჩანაწერია გაკეთებული: შპს „შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმი“ 2019-2020 სასწავლო წელს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით VI და XII კლასებში ქმნის განაყოფებს შემდეგნაირად: VI კლასი: პირველ უცხოურ (ინგლისური) ენაში მოსწავლეთა ენის ფლობის დონის მიხედვით XII კლასი: ქართული ენისა და ლიტერატურასა და პირველ უცხოურ ენაში. აქვე განმარტებულია, რომ კლასის გაყოფა დასაშვებია შემდეგ საგნებში : ქართული ენა და ლიტერატურა და უცხოური ენები, თუ სკოლას აქვს შესაბამისი ფინანსური შესაძლებლობა. ასევე, კლასის გაყოფა დასაშვებია ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში. გაყოფა შესაძლებელია იმ შემთხვევაში , თუ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა აღემატება 20 - ს. უცხოურ ენებში დასაშვებია განაყოფები დაკომპლექტდეს მოსწავლე თა ენის ფლობის დონის გათვალისწინებით ან ჯგუფები და განაყოფები დაკომპლექტდეს მეორე და მესამე ენების არჩევანის შესაბამისად. **ის, რომ არ არის მითითებული კონკრეტულ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა, რთული გასარკვევია, იცავს თუ არა სკოლა საკუთარ გადაწყვეტილებას კლასების გაყოფასთან დაკავშირებით. ამასთან, როგორც გამოირკვა, მიუხედავად ჩანაწერისა, XII კლასში ქართული ენისა და ლიტერატურაში კლასი არ იყოფა.**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	გ) სკოლის საერთო კულტურა. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან და სკოლის მისიიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია დაინტერესებულმა პირებმა იცოდნენ როგორ შეუწყობს ხელს სკოლა: ა) საგნების სწავლა-სწავლების, სასკოლო პროექტების, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობების (მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების ჩართულობით) საშუალებით: ● ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრებას მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა; ● საზოგადოების წევრებისთვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას; ● მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებასა და სამოქალაქო ჩართულობას; ● ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას; ● კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და ტოლერანტობის დამკვიდრებას; ● ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და უსაფრთხოების დაცვას; ● გარემოსდაცვით განათლებას მდგრადი განვითარებისთვის; ● კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზების სწავლებას; ● სამეწარმეო უნარების განვითარებას და ინიციატივების წახალისებას. **დ) მიმართულებების მიხედვით განსაზღვრული სასკოლო-საგანმანათლებლო აქტივობები** (მოგვიანებით წარმოადგინა სკოლამ. არ არის არც ბრძანებით დამტკიცებული და არც რაიმე დოკუმენტის დანართი).
მტკიცებულებები/ ინდიკატორები:	2019-2020 წწ. სასკოლო სასწავლო გეგმა;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	საგაკვეთილო ცხრილი; კათედრების პორტფოლიოები; ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ 2020 წლის 28 თებერვალის ბრძანება #2/19; ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	**იმისთვის, რომ სკოლაში სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობები იყოს და ნებისმიერი საჭიროებებისა და ინტერესების მქონე მოსწავლეს შეეძლოს სრულფასოვნად ჩაერთოს სასწავლო პროცესში, აუცილებელია სკოლას შემუშავებული ჰქონდეს მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის იდენტიფიცირების მექანიზმები და მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვის სტრატეგიები.** ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის

	#16/ნ ბრძანებით განსაზღვრულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესი და პირობები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი, რომელიც მოიცავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის წესს, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სკოლის უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს ინკლუზიური განათლების სფეროში. **მნიშნელოვანია სკოლაში დაზუსტებული იყოს მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების განსაზღვრისთვის კრიტერიუმები და ინდიკატორები და ასევე, სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით განსახორციელებელი რეკომენდაციებისა და შესაბამისი ყველა აუცილებელი ზომების ჩარჩო. გაწერილი უნდა იყოს პროცესში მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის, კლასის დამრიგებლის (მასწავლებლის შემთხვევაში) და სკოლის დირექციის წარმომადგენლის ჩართულობის ფორმები და სიხშირე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ყველაფრის გაწერა იმ სკოლაში, სადაც არ არის გათვალისწინებული ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის საშტატო ერთეული და სადაც მასწავლებელი/მასწავლებლები/კლასის დამრიგებელი თავად უნდა განსაზღვრავდეს და იღებდეს ზომებს მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით.** **ვ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფის მუშაობა და მონიტორინგის მექანიზმები.** (ვიზიტისას გამოასწორეს და წარმოგვიდგინეს ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი, თუმცა დოკუმენტი არ არის ბრძანებით დამტკიცებული). **იხ. დანართი #10**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად, ასევე მნიშვნელოვანია სკოლას შემუშავებული ჰქონდეს, უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების თავსებადობის დადგენის საკითხებთან დაკავშირებით სკოლაში მოქმედი წესი. საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება **#98/ნ**-ის მუხლი 7-ის თანახმად, უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების თაობაზე განცხადების წარდგენის დამადასტურებელი ცნობის საფუძველზე, ცენტრის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღების მიზნით დაინტერესებული პირი უფლებამოსილია მიმართოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი კლასის გაკვეთილზე დასწრების შესაძლებლობას. პირი უფლებამოსილია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნები, რომლებთან შესაბამისობაც არ იქნა დადგენილი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაძლიოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ან ექსტერნატის ფორმით. სკოლას, 2019 წელს (თარიღი სადაოა, რადგან ორია 07.07.2019 (7 ივლისი კვირა იყო) და 07.10.2019-ია მითითებული, მიმართა მოქალაქე ბურჰან ილქანმა, მისი შვილების, საფიე (მე-11 კლასში) და რაფია (მე-8 კლასში) ჩარიცხვის თხოვნით (განცხადება ქართულ ენაზეა დაწერილი, რაც ასევე კითხვებს იწვევს). საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება #98/ნ-ის მუხლი 7-ის პუნქტი 3-ის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება დაინტერესებული პირის ან ცენტრის მიმართვიდან 10 დღის ვადაში, ცენტრის მიერ შემუშავებული ზოგადი რეკომენდაციების საფუძველზე, ადგენს წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ან ცენტრის მიმართვაში მითითებული საგნების შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნებთან და შეიმუშავებს დასკვნას უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების შესაბამისობის შესახებ. დასკვნაში მიეთითება პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში გავლილი საგნები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებს და ამ საგნებში მიღებული შეფასებების ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალიწინებულ შეფასებებზე გადაყვანის შედეგად მიღებული შეფასებები. რაც იმას ნიშნავს, რომ სკოლას დასკვნა უნდა მოემზადებინა მაქსიმუმ 22 ივლისამდე ან 22 ოქტომბრამდე. ცენტრი, სკოლის მიერ მომზადებული დასკვნის აღიარებას მაქსიმუმ ერთ თვეში აკეთებს. დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ცენტრმა სკოლას აღიარება 2019 წლის 20 დეკემბერს წერილით # 61901742346 და 2019 წლის 23 დეკემბერს წერილით #91901743492 აცნობა. ერთთვიანი მაქსიმალური ვადის გათვალისწინებით, როგორც ჩანს სკოლამ დასკვნა მოამზადა და ცენტრში შევიდა დახლოებით 2019 წლის 20-23 ნოემბერს, რაც წარმოადგენს #98/ნ ბრძანების მოთხოვნების დარღვევას. გარდა ამისა, ცენტრიდან შემოსული წერილის შემდეგ სკოლამ მოსწავლეები ჩარიცხა 2020 წლის 15 იანვარს (თითქმის ერთი თვის შემდეგ), თან ისე, რომ მოსწავლეებისთვის არ შეუდგენია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ საფიე ილქანის ჩარიცხვის ბრძანებას აქვს ორი თარიღი (2020 წლის 15 იანვარი და 2017 წლის 8 ნოემბერი) და ორი ნომერი („1/107“ და „3“), რაც წარმოადგენს ,,საქმისწარმოების

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ერთიანი წესების" დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ, 1999 წლის 1 ივლისის ბრძანებულება №414 დარღვევას. **იხ. დანართი #11** **ზოგადი განათლების შესახებ კანონის თანახმად, სახელმწიფო იცავს მოსწავლის და მშობლის საგანმანათლებლო არჩევანის თავისუფლებას.** მართალია, პირი უფლებამოსილია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნები, რომლებთან შესაბამისობაც არ იქნა დადგენილი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაძლიოს **ექსტერნატის ფორმით,** თუმცა თუ პირის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების აღიარების დოკუმენტში მითითებული კლასის შესაბამისად ჩარიცხვისას, სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით არ არის განსაზღვრული ექსტერნად რეგისტრაციის ვადა (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის #18/ნ ბრძანებით დამტკიცებული ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულება, ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების, ასევე ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების ძირითადად დამოუკიდებლად დაძლევისა და ექსტერნატის გამოცდების ჩაბარების გზით შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების შესაძლებლობას იძლევა), ბუნებრივია, სკოლა ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა სკოლაში უკვე ჩარიცხულ მოსწავლეს მისცეს მის საჭიროებაზე და შესაძლებლობაზე მორგებული შესაბამისი განათლების მიღების შესაძლებლობა, **შეუდგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და უზრუნველყოს მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასება.** **ვინაიდან,** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის #98/ნ ბრძანებით **არ არის განსაზღვრული: 1. ცენტრის მიერ საბოლოო**

	გადაწყვეტილების მიღებამდე, სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღების მიზნით, ცნობის საფუძველზე მოსწავლის შესაბამისი კლასის გაკვეთილზე დასწრების უზრუნველყოფის მექანიზმები; 2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესი, მიღწევის ვადები, მიღწევის დადასტურების მექანიზმი და ინსტრუმენტები, ბუნებრივია, შეფასების სისტემის გამჭვირვალობის და ასევე მოსწავლეთა სწავლისა და განვითარების თანაბარი პირობების უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნული საკითხები სკოლას უნდა ჰქონდეს დაზუსტებული.
მტკიცებულებები/ ინდიკატორები:	2019-2020 წწ. სასკოლო სასწავლო გეგმა; ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი; მოსწავლის აღიარებისა და სკოლაში ჩარიცხვის ამსახველი დოკუმენტები.
შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში სასკოლო სასწავლო გეგმით გაწერილია მოსწავლეთა შეფასების სისტემა. მოსწავლის შეფასების პრინციპები სრულ თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან. სკოლას არ აქვს გამოყენებული ამ საკითხთან დაკავშირებული თავისუფლება. კათედრებს შემუშავებული აქვთ შეფასების სქემები და რუბრიკები. სკოლას ასევე ფორმალურად გაწერილი აქვს მოსწავლის მიღების პროცედურები-უტარებენ ტესტირებას

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, მობილობის მსურველის ჩარიცხვამდე, გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე, დაადგინოს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან თავსებადობა. ამასთან, პროცედურები უნდა განმარტავდეს, როგორ ხდება მოსწავლის სკოლაში მობილობის შემთხვევაში, მოსწავლისთვის შედგენილი საგნის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საშუალებით უზრუნველყოფა მოსწავლის მიერ იმ სავალდებულო საგნის სტანდარტის შედეგების დაფარვა, რომელი საგანიც მას ჯერ არ ჰქონდა გავლილი სკოლაში, საიდანაც გადმოვიდა, და/ან მიმღებ სკოლაში ამ საგნის სწავლება უკვე დაწყებულია ან დასრულებული). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის #98/ნ ბრძანებით **არ არის განსაზღვრული: 1. ცენტრის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღების მიზნით, ცნობის საფუძველზე მოსწავლის შესაბამისი კლასის გაკვეთილზე დასწრების უზრუნველყოფის მექანიზმები; 2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესი, შეფასების, მიღწევის ვადები, მიღწევის დადასტურების მექანიზმი და ინსტრუმენტები,** ბუნებრივია, შეფასების სისტემის გამჭვირვალობის და ასევე მოსწავლეთა სწავლისა და განვითარების თანაბარი პირობების უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნული საკითხები სკოლას უნდა ჰქონდეს დაზუსტებული, რაც ასე არ არის. პრობლემურია მეათე კლასში არჩევით საგნის შეცვლასთან დაკავშირებით სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო, მოსწავლეთა შეფასების საკითხი. არ არის გაწერილი დამატებითი სავალდებულო საგნის სასწავლო გეგმა, რომელიც უნდა აზუსტებდეს შეფასების ფორმასა (ქულა, ჩათვლა) და პრინციპებს (რაც ასევე არ არის

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	გაწერილი). **მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შეფასების პრინციპებში გაწერილი აქვს I-IV კლასებში შემაჯამებელი დავალების შეფასების ფორმა, თავად შემაჯამებლის ოდენობა და ტიპები არ აქვს განსაზღვრული. კათედრებთან, დირექციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ არა თუ გაწერილი არ აქვთ, პირველად მიაქციეს ყურადღება ამ ჩანაწერს და ბუნებრივია, სკოლაში, I-IV კლასებში არ ტარდება შემაჯამებელი სამუშაოები. შესაბამისად,** დაწყებით კლასებში მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად ვერ ხერხდება შესაბამისი აქტივობის შეფასების შედეგების გამოყენება. მშობლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ დაწყებითი კლასის მშობლები არ არიან ინფორმირებულნი შემაჯამებელ სამუშაოებთან დაკავშრებით და შესაბამისად, მათი შეფასების კრიტერიუმებიც არ იციან. მართალია სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სსსმ მოსწავლის შინ სწავლების პროცედურები, თუმცა არ არის დაზუსტებული იმ მოსწავლეების შინ სწავლების პროცედურები, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე. შესაბამისად, უცნობია, იმ შემთხვევაში, თუ სკოლა დადგება ასეთი საჭიროების წინაშე როგორ, რა კრიტერიუმებით მოხდება მოსწავლეთა შეფასება და მოსწავლის აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად როგორ გამოიყენებს სკოლა მიღებულ შედეგებს. **იხ. დანართი #2**
მტკიცებულებები/ ინდიკატორები:	2019-2020 წწ. სასკოლო სასწავლო გეგმა;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	გასაუბრების შედეგები.
შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	აღსანიშნავია, რომ სკოლაში დანერგილია ელექტრონული ჟურნალი, რომელიც ხელს უწყობს მშობელთან კომუნიკაციას და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას (ესგ, მუხლი 19. დამრიგებელმა რეგულარულად (მინიმუმ თვეში ერთხელ) უნდა მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. ამავე მუხლის თანახმად, დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვა მოსწავლის/მშობლის თანდასწრებით საუბარი, მაშინ, როცა სკოლაში მშობლებთან, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მშობელს უფლება აქვს წინასწარ შეთანხმების შემთხვევაში დაესწროს გაკვეთილებზე და სკოლა ამაყობს ამით. ამასთან აღნიშნული გაწერილია შინაგანაწესშიც: **„სკოლის დირექტორს ხელმძღვანელს, უფლება აქვს, მასწავლებელთან შეთანხმებით მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ნება დართოს საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობაზე.“** ამით ირღვევა არა მარტო ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნა, არამედ პერსონალურ

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	მონაცემთა შესახებ კანონი. მშობლებთან ურთიერთობის წესით დაინტერესების შემდეგ, სკოლამ, ვიზიტის განმავლობაში წარმოადგინა **მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ შემუშავებული დებულება, რომელიც არ არის დამტკიცებული და არც დანართს წარმოადგენს.** საინტერესოა ის, რომ ამავე დებულების მერვე პუნქტით გაწერილია მშობლისთვის მისაწოდებელი სავალდებულო ინფორმაცია, რომელიც არ რის თანხვედრაში შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ მშობელთა კრების ოქმში დასახელებულ საკითხებთან და ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის **06/ნ** ბრძანებით დამტკიცებულ, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებებთან, კერძოდ მეოთხე მუხლის მეორე პუნქტთან: **სკოლა ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 10 დღისა მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების საშუალებით მიაწოდოს ინფორმაცია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების/უწყებების ნომრების, ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ. იხ. დანართი #12 და დანართი #13** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2017 წლის 11 იანვრის **#04/ნ** ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის მე-9 მუხლის თანახმად სკოლა

	ვალდებულია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეს შეუჩეროს მოსწავლის სტატუსი იმ შემთხვევაში, თუ: ა) მოსწავლე 90 სასწავლო დღის განმავლობაში ზედიზედ არ ცხადდება სკოლაში და არ იღებს შეფასებას; ბ) მოსწავლე მიემგზავრება/გაემგზავრა საზღვარგარეთ და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლას; გ) სკოლაში 12 წლის სწავლის შემდეგ მოსწავლემ ვერ დაძლია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე, არ აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული დაფინანსება და სტანდარტული ვაუჩერის შესაბამის თანხას არ შეიტანს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის სახაზინო ანგარიშზე; დ) არასრულწლოვანი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/სრულწლოვანი მოსწავლე სკოლას მიმართავს სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით. სკოლაში ვიზიტისას სამ მოსწავლეს, 2020 წლის 6 თებერვალს შეჩერებული ჰქონდა მოსწავლის სტატუსი (ეს ვნახე eschool-ში), თუმცა მხოლოდ ერთ მოსწავლეზე იყო გამოცემული ბრძანება #1/6 (დასტურდება მოსწავლეთა ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალით). ვიზიტის განმავლობაში სკოლამ თითქოს გამოასწორა აღნიშნული ხარვეზი, გამოსცა ბრძანება სტატუსის შეჩერების შესახებ #1/7 და #1/8, თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა 2020 წლის 7 თებერვალს #1/7 ბრძანებით მე-5 კლასის მოსწავლეს სტატუსი ჰქონდა აღდგენილი (რაც ასევე დასტურდება მოსწავლეთა ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალით).

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ამავე ბრძანებისა და ამავე მუხლის შესაბამისად, რომელიმე საფუძვლით მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სკოლის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მოსწავლის სტატუსის შეჩერების თაობაზე და იგი ვალდებულია, მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება ორი სამუშაო დღის ვადაში აცნობოს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. **ეს წესი დარღვეული იყო, რადგან სკოლას, მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება, დადგენილი წესით არ ჰქონდა გაგზავნილი მოსწავლის მშობელს/ კანონიერ წარმომადგენლისთვის (რაც დასტურდება გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალით). იხ დანართი #14 და დანართი #15** აღსანიშნავია, რომ სკოლა წინა წლის ანალიზისას მშობელთა ჩართულობას სკოლის ერთ-ერთ გასაუმჯობესებელ მხარედ ასახელებს, თუმცა სამოქმედო გეგმაში გამოწვევის დაძლევის მკაფიო სტრატეგიები გაწერილი არ არის.
მტკიცებულებები/ ინდიკატორები:	ელ. ჟურნალი; შინაგანაწესი; გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალი; ბრძანებები მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერების შესახებ; მშობლის ინფორმირების წესი.
შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ვიზიტისას, დირექტორს პირველ დღესვე გადავეცით იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც შემდგომი დამუშავებისა და ანალიზისთვის, ჩვენთვის გადმოსაცემად უნდა მოემზადებინა. ჩამონათვალში იყო განვლილი სასწავლო წლის შედეგების ანალიზი და შეფასება. აღნიშნული დოკუმენტი ვიზიტის მესამე დღეს წარმოგვიდგინეს (არ არის დამტკიცებული და არც რაიმე ოქმის დანართია). განვლილი სასწავლო წლის შედეგების ანალიზი და შეფასება არის ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რადგან ხალი წლის სასკოლო სასწავლო გეგმა სწორედ მასზე დაყრდნობით უნდა იყოს შემუშავებული. წარმოდგენილ 2018-2019 სასწავლო წლის ანგარიშში წერია, რომ ჩატარებულია კვლევა **(რომელიც არ გვინახავს)** და ასევე წერია, რომ ტარდება გამოკითხვები მოსწავლეებსა და მშობლებში **(კითხვარები ვნახეთ, ანალიზი ვერ წარმოგვიდგინეს)**. ანგარიშში არ არის განხილული მოსწავლეთა შედეგები, სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილების შინაარსობრივი და რაოდენობრივი ანალიზი, წინა წელს მიღებული გადაწყვეტილებების, სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული და კონცეპტუალური საკითხების ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები. არ არის შეფასებული სასწავლო მეთოდების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, სასწავლო გარემოსა და რესურსების ეფექტიანობა და მათი კავშირი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	მოსწავლეთა მიღწევებთან. ანგარიში ატარებს ფორმალურ ხასიათს, არის ზოგადი და მასზე დაყრდნობით შეუძლებელია განისაზღვროს ის გადაწყვეტილებები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება შემუშავდეს ახალი სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ წინა წლის SWOT ანალიზის გაცნობისას, ყურადღება მივაქციე იმას, რომ წინა წლის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ სკოლა ასახელებდა **გერმანული მოდელის მიხედვით სასწავლო პროგრამების შემუშავებას და სასწავლო პროცესში დანერგვას** (ასეთი პროგრამები ვერ წარმოგვიდგინეს). მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ გაირკვა, რომ არ იცოდნენ რაზე იყო საუბარი (იგივე გამოიკვეთა მშობლებთან), უბრალოდ თქვეს, რომ წელს გერმანული ენა შესთავაზეს მოსწავლეებს (არადა ანალიზი ეხებოდა წესით წინა წელს). ადმინისტრაციამ წარმოგვიდგინა შტუტგარტის BIL-Schule სკოლასთან გაფორმებული მემორანდუმი(არ აქვს თარიღი და ასევე მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, შედგენილია მხოლოდ ინგლისურ ენაზე) და გვითხრა, რომ ამ მემორანდუმის საფუძველზე ხელმომწერ სკოლასთან აპრილში გეგმავენ მოსწავლეების გაგზავნას და მომავალში პარტნიორობის გაღრმავებას. **იხ. დანართი #16 და დანართი #17** სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები და დოკუმენტურ დონეზე აცნობიერებს, რომ მუდმივად უნდა ხდებოდეს საგანმანათლებლო პროცესის დიაგნოსტირება და სასწავლო გეგმის, სწავლების ხარისხის შეფასება და რომ ამისთვის მნიშვნელოვანია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის გამოყენება, თუმცა დანერგვასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვები და ამ საკითხის გაუმჯობესება გაცილებით მეტ ძალისხმევასა და თანმიმდევრულ დამოკიდებულებასს მოითხოვს.
მტკიცებულებები/	2018-2019 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ანალიზი;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ინდიკატორები:	2018-2019 სასწავლო წლის SWOT ანალიზი; 2019-2020 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა; სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმი; გასაუბრების შედეგები; შტუტგარტის BIL-Schule სკოლასთან გაფორმებული მემორანდუმი; მშობელთა კრების ოქმი.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	1.1. საათობრივი ბადემ განსაზღვროს მოსწავლეთა აუცილებელ კვირეული და წლიური ჯამური საათების ოდენობას კლასების, სემესტრების და საგნების მიხედვით. საკითხები, რომელიც საჭიროებს სამინისტროსთან დასაბუთებას/შეთანხმებას ჯერ შეთანხმდეს/დასაბუთდეს და შემდეგ დამტკიცდეს სასკოლო სასწავლო გეგმით. საკლასო ჟურნალსა და ასევე ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eschool) -ში დაფიქსირდეს კლასების მიხედვით გაკეთებული იმ საგნების ჩამონათვალი, რომელიც

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	დამტკიცებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. ეროვნული სასწავლო გეგმის 23-ე მუხლის მიხედვით, სასკოლო საათობრივ ბადეში აღინიშნოს როგორც სავალდებულო და არჩევითი საგნები, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და/ან ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. მოსწავლეებისთვის საგანი არჩევითი სახით იქნება შეთავაზებული თუ დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების (სავალდებულო) სახით, სკოლამ განსაზღვროს შემაჯამებელი დავალებების მინიმულური/მაქსიმალური რაოდენობა. სკოლამ დაიცვას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის #18/ნ ბრძანებით დამტკიცებული ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულება. სასკოლო სასწავლო გეგმით დაზუსტდეს და განისაზღვროს I-IV კლასებში შემაჯამებელი სამუშაოების მინიმალური ოდენობები. სკოლამ განსაზღვროს სასკოლო სასწავლო გეგმის ყველა შემადგენელი ნაწილი: IX და XI კლასებში სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარების განრიგი: 8 გაკვეთილი - IX კლასში, 4 გაკვეთილი - XI კლასში. ასევე პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების განრიგი: მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმების ობიექტებში ექსკურსიების და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრების

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	განრიგი. რადგან ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების წესი, ეს გულისხმობს იმას, რომ დოკუმენტი იყოს ერთიანი, დანომრილი ნაწილებითა და დანართებით. ეს არ გამორიცხავს რომ სკოლამ ცალკე შეიმუშავოს და დაამტკიცოს მაგ: ინკლუზიური განათლების სტრატეგია, თუმცა ზოგადი პრინციპების დონეზე აღწერა სასკოლო სასწავლო გეგმაში უნდა ფიქსირდებოდეს. 1.2.სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი გაკვეთილების განრიგი, თანხვედრაში მოვიდეს გაკვეთილების ცხრილთან და ფაქტობრივ მდგომარეობასთან. მაგ. განრიგით 1 კლასის მოსწავლეებს აქვთ 35 წუთიანი გაკვეთილები, მაშინ, როცა ცხრილითაც და ფაქტობრივადაც მოსწავლეებს უტარდებათ 45 წუთიანი გაკვეთილები. 1.3. იმისთვის, რომ სკოლაში სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობები იყოს და ნებისმიერი საჭიროებებისა და ინტერესების მქონე მოსწავლეს შეეძლოს სრულფასოვნად ჩაერთოს სასწავლო პროცესში, აუცილებელია სკოლამ შეიმუშაოს მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის იდენტიფიცირების მექანიზმები და მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვის სტრატეგიები და დაიცვას ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის #16/ნ ბრძანება. სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად, სკოლამ შეიმუშაოს უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების თავსებადობის

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	დადგენის საკითხებთან დაკავშირებით სკოლაში მოქმედი წესი და განუხრელად დაიცვას საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის #98/ნ ბრძანება. 1.4. მეათე კლასში არჩევითი საგნის შეცვლასთან დაკავშირებით სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო, მოსწავლეთა შეფასების საკითხი სკოლამ მოიყვანოს ესგ-ს მოთხოვნებთან შესაბამისობაში. დამატებითი სავალდებულო საგნის სასწავლო გეგმამ, დააზუსტოს შეფასების ფორმას (ქულა, ჩათვლა) და პრინციპები. დაზუსტდეს იმ მოსწავლეების შინ სწავლების პროცედურები, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე. 1.5. სკოლამ დაიცვას პერსონალურ მონაცემთა შესახებ კანონი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2017 წლის 11 იანვრის **#04/ნ** ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების,

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანება.
რჩევები:	1. საათობრივი ბადის დასაბუთება უნდა მოიცავდეს: 1. ცვლილების მიზნებს და ამოცანებს (რეალისტური, გაზომვადი, დროში მიღწევადი) ცვლილების არსს და რატომ ფიქრობს სკოლა, რომ ასე უკეთ შეძლებს ზგემ-ის, მისიისა და ესგ-ის მიღწევას? 3. ცვლილების წინაპირობას (რა გარემოებებმა განაპირობა კონკრეტული მოდელის არჩევანი და ზოგადად, ცვლილების აუცილებლობა. 4. რესურსების (ადამიანური, მატერიალური) ხელმისაწვდომობის დასაბუთებას. 5. ცვლილების მოსალოდნელ რაოდენობრივ და თვისებრივ შედეგებს (როგორც მოკლევადიანს (სემესტრის ბოლოს), ისე გრძელვადიანს (წლის ბოლოს) 6. რისკების ანალიზს. 7. ცვლილებების მონიტორინგისა და შეფასების მექნიზმებს, ინსტრუმენტებს. 8. ცვლილებების მდგრადობას (როგორ წარმოუდგენია ცვლილების განვითარება სკოლას სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, რა მექანიზმებით მოხდება ცვლილების განხორციელებით მიღებული დადებითი შედეგის/შედეგების შენარჩუნება და გაუმჯობესება). 2. ვინაიდან სკოლის მიერ შემუშავებულ საგაკვეთილო ცხრილში არასავალდებულო საგნები გათვალისწინებულია სავალდებულო საგნებს შორის, სკოლამ უნდა შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც დირექციას საშუალებას მისცემს აკონტროლოს ის მოსწავლეები, რომლებსაც არ სურთ ფაკულტატურ საგნებზე დასწრება. 3. კათედრებმა/მასწავლებლებმა უნდა იხელმძღვანელონ სსგ-ით განსაზღვრული შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმებით. 4. გარდა ამ ეროვნული სასწავლო გეგმით განსზღვრული სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებისა, სასკოლო საზოგადოებისთვის და ყველა დაინტერესებული მხარისთვის სასკოლო სასწავლო გეგმა (ვინაიდან ამ დოკუმენტის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა სავალდებულოა)

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	უნდა უზრუნველყოფდეს, ეროვნული სასწავლო გეგმაში დეკლარირებული სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული და კონცეპტუალური საკითხების მისაღწევი გზებისა და საშუალებების აღწერას. 5. სსგ-ში კათედრების ზუსტი რაოდენობა უნდა იყოს დაფიქსირებული. 6. ვინაიდან კონკრეტულ სკოლაში ექსკურსია როგორ იგეგმება, ვერ იქნება გაწერილი საერთო წესში, სასურველია სკოლას დაზუსტებული ჰქონდეს ექსკურსიების განხორციელების წესი. მნიშვნელოვანია მოსწავლემ, მასწავლებელმა და მშობელმა თავიდანვე იცოდნენ ექსკურსიის ტიპები, სიხშირე და ა.შ. 7. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და სკოლის მისიის მიღწევის პროგნოზირებისთვის, მნიშვნელოვანია სასკოლო სასწავლო გეგმით დაზუსტებული იყოს სასკოლო ორიენტირები. 8. სასურველია სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი იყოს სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ისეთი ადმინისტრაციული და კონცეპტუალური საკითხების მისაღწევი გზებისა და საშუალებების აღწერა, როგორიცაა სწავლების ენა, სკოლის კულტურა, მოსწავლეთა რაოდენობა კლასში და განაყოფები და მიმართულებების მიხედვით სასკოლო-საგანმანათლებლო აქტივობები. 9. მნიშნელოვანია სკოლაში დაზუსტებული იყოს მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების განსაზღვრისთვის კრიტერიუმები და ინდიკატორები და ასევე, სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით განსახორციელებელი რეკომენდაციებისა და შესაბამისი ყველა აუცილებელი ზომების ჩარჩო. გაწერილი უნდა იყოს პროცესში მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის, კლასის დამრიგებლის (მასწავლებლის შემთხვევაში) და სკოლის დირექციის წარმომადგენლის ჩართულობის ფორმები და სიხშირე.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ყველაფრის გაწერა იმ სკოლაში, სადაც არ არის გათვალისწინებული ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის საშტატო ერთეული და სადაც მასწავლებელი/მასწავლებლები/კლასის დამრიგებელი თავად უნდა განსაზღვრავდეს და იღებდეს ზომებს მოსწავლის მიერ სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით. 10. ვინაიდან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის #98/ნ ბრძანებით არ არის განსაზღვრული: **1. ცენტრის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღების მიზნით, ცნობის საფუძველზე მოსწავლის შესაბამისი კლასის გაკვეთილზე დასწრების უზრუნველყოფის მექანიზმები; 2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესი, მიღწევის ვადები, მიღწევის დადასტურების მექანიზმი და ინსტრუმენტები,** ამიტომ სასურველია, რომ შეფასების სისტემის გამჭვირვალობის და ასევე მოსწავლეთა სწავლისა და განვითარების თანაბარი პირობების უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნული საკითხები სკოლამ დაზუსტოს. 11. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ შემუშავებული დებულება სკოლამ უნდა მოიყვანოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში და შემდგომ იმოქმედოს დებულებით გაწერილი ვალდებულებების შესაბამისად. 12. მართალია შემუშავებულია აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები და დოკუმენტურ დონეზე აცნობიერებს, რომ მუდმივად უნდა ხდებოდეს საგანმანათლებლო პროცესის დიაგნოსტირება და სასწავლო გეგმის, სწავლების ხარისხის შეფასება და რომ ამისთვის მნიშვნელოვანია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	განავითარე“ ციკლის გამოყენება, თუმცა დანერგვასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვები და ამიტომ ამ საკითხის გაუმჯობესებაზე მომავალში სასურველია სკოლამ გაცილებით მეტი იმუშაოს.
ხარვეზები:	სასკოლო სასწავლო გეგმა, როგორც დოკუმენტი არ არის ერთიანი, დანომრილი ნაწილებითა და დანართებით. სასკოლო სასწავლო გეგმაში საათობრივი ბადე არ განსაზღვრავს მოსწავლეთა აუცილებელ კვირეული და წლიური ჯამური საათების ოდენობას კლასების, სემესტრების და საგნების მიხედვით. საკითხები, რომელიც საჭიროებს სამინისტროსთან დასაბუთებას/შეთანხმებას ისეა სსგ-ით დამტკიცებული, რომ სკოლას არ აქვს სამინისტროსგან უკუკავშირი მიღებული, არ არის შეთანხმებული. საკლასო ჟურნალსა და ასევე ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eschool)-ში შეტანილია კლასების მიხედვით გაკეთებული საგნების ჩამონათვალი, რომელიც არ ემთხევავა სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებულ ჩამონათვალს. სასკოლო საათობრივ ბადეში სრულყოფილად არ არის აღნიშნული როგორც სავალდებულო და არჩევითი საგნები, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და/ან ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. არჩევითი და დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების (სავალდებულო) სახით შეთავაზებული საგნების შემაჯამებელი დავალებების მინიმულური/მაქსიმალური რაოდენობა

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	სსგ-თი უნდა იყოს განსაზღვრული. ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით არ არის დაზუსტებული და განსაზღვრული I-IV კლასებში შემაჯამებელი სამუშაოების მინიმალური ოდენობები და მეტიც, ფაქტობრივად არც ტარდება. არ არის დაცული სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილებისადმი მოთხოვნა. სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს : IX და XI კლასებში სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარების განრიგი: 8 გაკვეთილი - IX კლასში, 4 გაკვეთილი - XI კლასში. ასევე პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების განრიგი: მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმების ობიექტებში ექსკურსიების და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრების განრიგი. **ამით დაირღვა ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებსაქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანება;** საგანში, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება მოსწავლემ ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა ჩააბარა არა წერითი ფორმით, ტესტირების გზით, არამედ ონლაინ. სკოლას არ შეუდგენია აღნიშნულ საგანში ტესტები, დაცული არ იყო კონფიდენციალურობა და ნაშრომის გასწორების წესი. **ამით დაირღვა ,,ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის #18/ნ ბრძანება;**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი გაკვეთილების განრიგი, თანხვედრაში არ მოდის გაკვეთილების ცხრილთან და ფაქტობრივ მდგომარეობასთან. მაგ. განრიგით 1 კლასის მოსწავლეებს აქვთ 35 წუთიანი გაკვეთილები, მაშინ, როცა ცხრილითაც და ფაქტობრივადაც მოსწავლეებს უტარდებათ 45 წუთიანი გაკვეთილები. **ამით დაირღვა ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანება;** სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად სკოლას არ აქვს შემუშავებული მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის იდენტიფიცირების მექანიზმები და მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვის სტრატეგიები. ამით დაირღვა ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის #16/ნ ბრძანება; განათლების აღიარების დოკუმენტში მითითებული კლასის შესაბამისად მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისას, სკოლას არ აქვს მირებული ყველა გონივრული ზომა სკოლაში უკვე ჩარიცხული მოსწავლისთვის მიეცა მის საჭიროებაზე და შესაძლებლობაზე მორგებული შესაბამისი განათლების მიღების შესაძლებლობა, შეედგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და უზრუნველყო მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასება.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ამით დაირღვა საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის **#98/ნ ბრძანება;** დამატებითი სავალდებულო საგნის სასწავლო გეგმა, არ აზუსტებს შეფასების ფორმასა (ქულა, ჩათვლა) და პრინციპებს. ასევე, არჩევითი საგნები, რომელიც მოსწავლეებისთვის განსხვავებული სქემით არის შეთავაზებული, არ მოიცავს შემაჯამებელი სამუშაოების მინიმალურ ოდენობას. აქედან გამომდინარე მოსწავლეების შეფასება და ნიშნის გამოყვანა არ ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად. **ამით დაირღვა ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებსაქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანება;** სკოლაში არ არის უზრუნველყოფილი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა. **ამით დაირღვა პერსონალურ მონაცემთა შესახებ საქართველოს კანონი.** სკოლას, მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება, დადგენილი წესით არ აქვს გაგზავნილი მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენლისთვის. სკოლაში არ არის უზრუნველყოფილი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა. **ამით დაირღვა პერსონალურ მონაცემთა შესახებ საქართველოს კანონი.** სკოლას, მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება, დადგენილი წესით არ აქვს გაგზავნილი მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენლისთვის. **ამით დაირღვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებსაქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2017 წლის 11 იანვრის #04/ნ ბრძანება;** სკოლას, სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 10 დღისა მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების საშუალებით არ აქვს მიწოდებული ინფორმაცია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებებზე პასუხისმგებელი გათვალისწინებული პირების/უწყებების ნომრების, ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ. **ამით დაირღვა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის #06/ნ ბრძანება.**
სტანდარტის შეფასება	☐ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **სტანდარტი დარღვეულია**

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:10890.00 კვ.მ	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: საერთო ფართი:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმი , ID ნომერი:216441358 მდებარეობს ქალაქ რუსთავში, ახმეტელის ქუჩა, N10-ში. ერთ მისამართზე აქვს არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 10890.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული #1 სასწავლო კორპუსი (4 სართული, საერთო ფართით 3034.23 კვ.მ) და #2 დამხმარე შენობა/ნაგებობა (საერთო ფართით 34.71 კვ.მ). საკადასტრო კოდი # 02.04.02.068; მესაკუთრე გახლავთ შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმი. ქონებას ადევს ყადაღა: 102017038712 08/02/2017 14:09:41 შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმი ს/ნ 216441358 საგანი: უძრავი ნივთი: ქალაქი რუსთავი, ქუჩა ახმეტელის N 10, 02.04.02.068 საფუძველი: განჩინება, N1793432, 07.02.2017, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია. ასევე სულ რამდენიმე თვის წინ ფიქსირდება საგადასახადო გირავნობა: საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა: 102019383206 11/10/2019

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	14:28:58 შ\პ\ს შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმი ს/ნ 216441358 საგანი: მთელი ქონება, მთელი ქონება საფუძველი: შეტყობინება, N00725333, 11.10.2019, შემოსავლების სამსახური **იხ. დანართი #18** აღსანიშნავია, რომ 2019-2020 სასწავლო წელს, ზემოთ მითითებულ მისამართზე მდებარე სასწავლო კორპუსის მეორე სართულზე, ფუნქციონირება დაიწყო საბავშვო ბაღმა. ბაღმა დაიკავა მეორე სართულის უმეტესი ნაწილი თავისი ერთი სველი წერტილით (სკოლის მოსწავლე გოგონებისთვის განკუთვნილი ტუალეტი ადაპტირებული საპირფარეშოს ჩათვლით, რომლითაც ახლა ვეღარ სარგებლობენ). სკოლამ ვერ წარმოადგინა შიდა ბრძანება გამიჯვნის შესახებ (შესაბამისად ვერ შევძელით იმის განსაზღვრა, ამ მომენტისთვის სკოლას დაზუსტებით რა ფართი ეთმობა). საბავშვო ბაღის აღსაზრდელები და მოსწავლეები სარგებლობენ საერთო შემოსასვლელი კარით და საერთო კიბეებით.
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი რუსთავი, ახმეტელის ქუჩა, N10
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	02.04.02.068
კვ.მ.	10890.00 კვ.მ-ზე 3034.23 კვ.მ სასწავლო კორპუსი (ამაშუი შედის ბაღიც)

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები	ამონაწერი საჯარო რეესტრიდან: განცხადების რეგისტრაცია # 882020164961 – 28/02/2020 მომზადების თარიღი 28/02/2020 წ. 12:32:47
შეფასება	■ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** □ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობაში 4 სართულია: I სართული - განთავსებულია 3 საკლასო ოთახი (ჭადრაკის კაბინეტი, ინფორმატიკის ლაბორატორია და ხელოვნების ოთახი), სასადილო ოთახი, დირექციის ოთახი, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, ექიმის კაბინეტი, ორი დამხმარე ოთახი (ერთი სადაც განთავსებულია ვიდეო სამეთვალყურეო მოწყობილობები და მეორე, სადაც განთავსებულია სასწავლო პროცესისთვის დამხმარე რესურსები -ქსეროქსი, პრინტერი, საოფისე ტექნიკა და სხვა.) და ორი სველი წერტილი (ერთი პერსონალისთვის და მეორე - 5 ადგილიანი ვაჟებისთვის, მათ შორის ადაპტირებული სველი წერტილი). II სართული - განთავსებულია 4 საკლასო ოთახი, ბუფეტი, დირექტორის მოადგილის

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ოთახი და 1 სველი წერტილი. III სართული - განთავსებულია 7 საკლასო ოთახი (მათ შორის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია), სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა და 2 სველი წერტილი (ერთი პერსონალისთვის და მეორე 5 ადგილიანი ვაჟებისთვის, მათ შორის ადაპტირებული სველი წერტილი). IV სართული - განთავსებულია 8 საკლასო ოთახი, გაიჯარებული ე.წ. პანსიონი (სადაც მოსწავლეები ცხოვრობენ) დირექტორის მოადგილის ოთახი და 1 (5 ადგილიანი) სველი წერტილი გოგონებისთვის. შენობაში სულ 22 საკლასო ოთახია. რომელიც აღჭურვილია: 355 ერთადგილიანი მერხითა და 358 სკამით; საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში 10 ორადგილიანი მერხით და 20 სკამით; ინფორმატიკის ოთახში - 23 მაგიდითა და 19 სკამით; ჭადრაკის კაბინეტში - 12 სპეციალური მაგიდითა და 24 სკამით. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აღჭურვილია ხელსაბანებით, გამწოვითა და შესაბამისი რესურსებით. ე.წ. საპრეპარატოში გამართულია სველი წერტილი და აღჭურვილია შესაბამისად. კომპიუტერულ ლაბორატორიაში 20 ინტერნეტში ჩართული კომპიუტერია. ჭადრაკის კაბინეტი აღჭურვილია აუცილებელი რესურსებით და ნამდვილად ხელშემწყობი გარემოა შექმნილი. ხელოვნების ოთხაში დგას 1 პიანინო. ზოგადად, ხელოვნების მასწავლებლის ეფექტიანი მუშაობა ასახულია არა მხოლოდ მის კაბინეტზე, არამედ მთლიან სკოლაში არსებულ გარემოზე. ჯამში სკოლაში 54 კომპიუტერია, აქედან 13 კომპიუტერი დირექცია-ადმინისტრაცია-მასწავლებლების განკარგულებაშია, ხოლო დანარჩენი უშუალოდ ხმარდება

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

<table>
<tr>
<td></td>
<td>
საგაკვეთილო პროცესს.
<table>
<tr><td>სართული</td><td>პერსონალი</td><td>სასწავლო აუდიტორია</td><td>სულ</td></tr>
<tr><td>I</td><td>6</td><td>22</td><td>28</td></tr>
<tr><td>II</td><td>2</td><td>4</td><td>6</td></tr>
<tr><td>III</td><td>3</td><td>7</td><td>10</td></tr>
<tr><td>IV</td><td>2</td><td>8</td><td>10</td></tr>
</table>
ყველა საკლასო ოთახში არის შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ავეჯი, დაფა, კომპიუტერი, პროექტორი, დინამიკები. ოთხივე სართულზე ინტერნეტი ხელმისაწვდომია. სკოლას აქვს 3 ე.წ. ჭკვიანი დაფა, რომელთაგან ერთი გაფუჭებულია. კლასებში მრავლად არის სასწავლო რესურსები: პლაკატები, პოსტერები, მულაჟები, თვალსაჩინოებები, სხვადასხვა რესურსები.
ადმინისტრაციისა და ტექ. პერსონალისთვის, ისევე როგორც მასწავლებლებისთვის, შექმნილია ხელსაყრელი სამუშაო პირობები. მათ აქვთ ყველა აუცილებელი რესურსი და გრემო, რათა შეასრულონ მათზე დაკისრებული მოველეობები. სამასწავლებლოში დგას მასწავლებლებისთვის ინდივიდუალური კარადები, 8 დიდი და 2 პატარა მაგიდა, 29 სკამი.
</td>
</tr>
<tr>
<td>მტკიცებულებები/ ინდიკატორები:</td>
<td>ვიზუალური დათვალიერებით;</td>
</tr>
</table>

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	სასკოლო ინვენტარის შესყიდვის ხელშეკრულებებითა და ზედნადებით;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სპორტული დარბაზი, რომელიც აღჭურვილია სასკოლო სასწავლო გეგმით არჩეული სპორტის 3 სახეობის: მაგიდის ჩოგბურთის, კალათბურთისა და ფეხბურთისთვის აუცილებელი ინვენტარით. სპორტულ დარბაზს აქვს გასახდელები ვაჟებისთვისაც და გოგონებისთვისაც, თუმცა არ არის სათანადო პირობები (ჩამოგდებულია, ჭერი, გადის ინტერნეტის კაბელი (რომელიც არ არის დამაგრებული სათანადო წესით), გოგონების გასახდელი ერთგვარი საწყობის ფუნქციასაც ასრულებს. არ არის მოწყობილი სველი წერტილები. სკოლას არ აქვს სპორტული მოედანი (ფილაქნებით მოპირკეთებული ტერიტორია ასრულებს მოედნის დანიშნულებას, რაც საფრთხის შემცველია მოსწავლეთა ჯანმრთელობისთვის. აღნიშული, როგორც სუსტი მხარე სკოლის 2018-2019 სასწავლო წლის SWOT ანალიზშიც არის დაფიქსირებული, თუმცა 2019-2020 წლის ერთწლიან სამოქმედო გეგაში პრობლემის მოსაგვარებლად არაფერია გაწერილი. ვერც სტრატეგიულ გეგმაში მოვიძიეთ ამ საკითხთან დაკავშრებით ვერაფერი გარდა იმისა, რომ სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლების მიმართულებაში (რომელიც არ არის დროში გაწერილი), მეხუთე პუნქტში (სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით) ვკითხულობთ: სკოლა თავისი მატერიალურ-ტექნიკური

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ბაზის გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყოფს სპორტულ დარბაზთან/საცურაო აუზთან ხელშეკრულების გაფორმებას). რაც მეტყველებს იმაზე, რომ როგორ სტრატეგიული, ისე სამოქმედო გეგმები ატარებს ფორმალურ ხასიათს და არ ეფუძნება რეალურ საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; საგადახდო ანგარიშფაქტურები და ზედნადებები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორიაა, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ მოთხოვნებთან და ხელს უწყობს საბუნებისმეტყველო საგნების საგნობრივი სტანდარტით მისაღწევ შედეგებს. ლაბორატორიაში დამონტაჟებულია ხელსაბანები, გამწოვი. კარადებში წარმოდგენილია ყველა აუცილებელი აღჭურვილობა. დაცულია უსაფრთხოების ზომები. იწარმოება ლაბორატორიული სამუშაოების მოსამზადებელი პროცედურების აღრიცხვის ჟურნალი.
მტკიცებულებები/ ინდიკატორები:	სასაქონლო ზედნადები #129; ვიზუალური დათვალიერება;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	მიღება-ჩაბარების აქტი.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში არსებობს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა, ყველა საკლასო ოთახს გააჩნია გარეთ გამავალი ფანჯარა, საიდანაც შესაძლებელია კლასის სრული განათება. სკოლის შენობის ყველა სართულზე მოწყობილია სველი წერტილები: I სართული - ერთი წერტილი პერსონალისთვის და შენობის მეორე ბოლოში 5 ადგილიანი სველი წერტილი მხოლოდ ვაჟებისთვის (მათ შორის ადაპტირებული სველი წერტილი); II სართული - ერთი წერტილი პერსონალისთვის; III სართული - ერთი წერტილი პერსონალისთვის და შენობის მეორე ბოლოში 5 ადგილიანი სველი წერტილი მხოლოდ ვაჟებისთვის; IV სართული - ერთი 5 ადგილიანი სველი წერტილი მხოლოდ გოგონებისთვის; მესამე სართულზე, ვაჟების საპირფარეშოში მოსაწესრიგებელია ინფრასტრუქტურა. სკოლამ უნდა იზრუნოს მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე და მოაწესრიგოს ელ. ჩამრთველები. საპირფარეშოების განსხვავებული რაოდენობის გამო, გოგონები და ვაჟები არიან

	არათანაბარ პირობებში. სკოლამ თავისი ინფრასტრუქტურა და სანიტარიასა და ჰიგიენასთან დაკავშირებული საქმიანობა უნდა მოიყვანოს შესაბამისობაში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის №01-40/ო ბრძანებით დამტკიცებულ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციასთან (გაიდლაინი - წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში). სკოლის შენობაში დამონტაჟებულია ბუნებრივ აირზე მომუშავე ცენტრალური გათბობის სიტემა, ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება და ელ. ენერგიის მიწოდების უწყვეტი წყარო. სკოლის საკუთრებაში არის ელ.გენერატორი (რომელიც ელ. ენერგიის გათიშვის შემთხვევაში უზრუნველყოფს დენის მიწოდებას საკლასო ოთახებისა და გათბობის სიტემისთვის). სკოლის დამხმარე შენობაში, სადაც განთავსებულია სკოლის გენერატორი და საქვაბე, მოსაწესრიგებელია როგორც ელ. მეურნეობა, ასევე საქვაბე მეურნეობა. კოროზირებულია დეტალები და მოწყობილია დროებითი ელ. სადენები. შ.პ.ს. წარმოადგენს ელ. ენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის დამოუკიდებელ აბონენტს.
მტკიცებულებები/ ინდიკატორები:	გადახდის ქვითრები; ხელშეკრულებები; ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადგადაი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ბიბლიოთეკა არის შენობის მესამე სართულზე. სკოლაში დამტკიცებულია ბიბლიოთეკის გამოყენების წესი (დებულება). წიგნების საცავი და სამკითხველო დარბაზი ერთსა და იმავე სივრცეშია, თუმცა ოთახი 7 დიდი თაროს გამოყენებით სამ ზონად არის დაყოფილი (სამკითხველო, საცავი და ბიბლიოთეკარის სამუშაო ზონა). წიგნადი ფონდი მოიცავს 3165 ცალ სახელმძღვანელო, მათ შორის: მხატვრული ლიტერატურა ქართულ ენაზე - 639 ც; მხატვრული ლიტერატურა ინგლისურ ენაზე - 253ც; მხატვრული ლიტერატურა რუსულ ენაზე - 125ც; მხატვრული ლიტერატურა თურქულ ენაზე - 125ც; მხატვრული ლიტერატურა აზერბაიჯანულ ენაზე - 76ც; გრიფირებული სახელმძღვანელო - 1260ც; დამხმარე სახელმძღვანელო - 687ც; ბიბლიოთეკაში არის აუდიო-ვიდეო მასალა - 70 ერთეული (დებულების შესაბამისად არ

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	არის გატარებული); ხელშეკრულება შეწყვეტილია გაზეთ ,, ახალ განათლებასთან'', რომელთანაც 2 წელი თანამშრომლობდნენ. სკოლა კვლავ გეგმავს ხელშეკრულების განახლებას (ჩვენ ჟურნალ-გაზეთი არ გვინახავს). მიუხედავად იმისა, რომ სკოლა მოსწავლეებს გერმანულ ენას სთავაზობს სხვადასხვა სახით, გაფორმებული აქვს მემორანდუმი გერმანულ სკოლასთან და სამოქმედო გეგმაში აქცენტირებული აქვს ამ მიმართულებით მუშაობა, ბიბლიოთეკაში გერმანულ ენაზე მხატვრული ლიტერატურა ვერ ვნახეთ. სკოლის განმარტებით, მიმდინარეობს აქცია ,,საუკეთესო ბუკინისტი''. დაგროვილი ნერგებით სკოლა აპირებს გერმანული ლიტერატურის შეძენას (ჩვენ ვნახეთ 2019 წელს ანალოგიური აქციის ფარგლებში „პალიტრა L“ -გან შეძენილი 10 წიგნი, რაც იმის დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ სკოლა ამ მიმართულებით მართლაც მუშაობს). იხ. მიღება-ჩაბარების აქტი. ბიბლიოთეკაში დგას ინტერნეტში ჩართული 1 კომპიუტერი, პრინტერი და ქსეროქსი, რაც საშუალებას იძლევა საჭიროების შემთხვევაში მოსწავლემ მოიძიოს ინფორმაცია ინტერნეტიდან, საჭიროების შემთხვევაში საჭირო მასალა გაამრავლოს და გამოიყენოს. სამკითხველოში დგას 8 ორადგილიანი მაგიდა და 16 სკამი. წიგნების უმეტესობა დამოწმებული და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. წიგნები თაროებზე განლაგებულია თემატურად. განსაზღვრულია ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი (კარზე იყო გაკრული, რომელიც არ შეესაბამებოდა დებულებით და ზეპირსიტყვიერად გაცხადებულ განრიგს. ბიბლიოთეკარის განმარტებით, ეს იყო ძველი განრიგი, რომელიც რატომღაც არ ჩამოხსნეს) და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ბიბლიოთეკაში ფორმულარები წარმოებს მხოლოდ მასწავლებლებზე, მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვს სპეციალური ჟურნალი. ბიბლიოთეკარი თავის საინვენტარო წიგნს არ აწარმოებს ბიბლიოთეკის დებულების შესაბამისად. მისი განმარტებით, მას აქვს ელექტრონული ჟურნალიც და საინვენტარო წიგნი მატერიალური სახითაც. გასაგებია, რომ საინვენტარო წიგნის ფორმები შაბლონურია, თუმცა ასეთ შემთხვევაში. დებულების მუხლი 14. სკოლამ უნდა მოიყვანოს ამ შაბლონთან შესაბამისობაში. **იხ. დანართი #19**
მტკიცებულებები/ ინდიკატორები:	შპს „შთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის“ ბიბლიოთეკის გამოყენების წესი (დებულება); საინვენტარო წიგნი; სასაქონლო ზედნადებები; მიღება-ჩაბარების აქტები; ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან	სკოლის შესასვლელში და კიბეებზე დამაგრებულია პანდუსები (ასაკეცი). პირველ სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილი ვაჟისთვის, რომელიც არ შეესაბამება

შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ნორმებს, კერძოდ: საპირფარეშოში შესასვლელი კარი არის 77 სმ, ხოლო კაბინის კარი არის 66 სმ, რითაც შეუძლებელია ეტლით მოსარგებლემ ისარგებლოს (ეტლი ვერ შევა კაბინაში). ხელსაბანს არ აქვს საყრდენები, რაც სსსმ მოსწავლეს შეუქმნის პრობლემებს. რაც შეეხება მეორე სართულზე გათვალისწინებულ ადაპტირებულ სველ წერტილს გოგონასთვის, ის აღარ არსებობს, რადგან ახლა იქ საბავშვო ბაღია.
მტკიცებულებები/ ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ვებ. გვერდი srs.edupage.org რომელიც ნაწილობრივ იძლევა სკოლის შესახებ სრული ინფორმაციის მოძიების საშუალებას. სკოლას აქვს ელ. ფოსტა - Shotarustaveli07@gmail.com სოციალური ქსელში აქტიური გვერდი - https://www.facebook.com/www.srs.ge/

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	სასწავლო მიზნების განხორციელებისთვის სკოლას აქვს ჯამში ინტერნეტში ჩართული 54 პერსონალური კომპიუტერი, რომელიც გადანაწილებულია ისტ ლაბორატორიაში, დირექცია-ადმინისტრაციის ოთახებში, ბიბლიოთეკაში, ლაბორატორიებში და ყველა საკლასო ოთახში. ყველა საკლასო ოთახშია დამონტაჟებული პროექტორი. სკოლაში მოქმედებს ელ. ჟურნალი, სადაც დღის ბოლოს ყველა მასწავლებელი ვალდებულია შეიტანოს შესაბამისი ინფორმაცია თითოეული მოსწავლის დასწრებისა და აკადემიური მოსწრების შესახებ. ელექტრონული ჟურნალი სკოლას აძლევს საშუალებას ზედმიწევნით დაიცვას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნა, დამრიგებელსა და მშობელს შორის აუცილებელი კომუნიკაციის შესახებ. მშობლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ძალიან მოსწონთ ეს სერვისი.
მტკიცებულებები/ ინდიკატორები:	გასაუბრების შედეგები; დაკვირვების შედეგები; გაფორმებული ხელშეკრულებები; გვერდი: srs.edupage.org
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არსებობს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. პირველ სართულზე განთავსებულია სახანძრო სტენდი შესაბამისი აღჭურვილობით. ყველა სართულზეა 3-4 ცეცხლმაქრი (დამუხტვის ვადები მითითებული ჰქონდა). სპორტულ დარბაზში და ლაბორატორიაში. სკოლაში მოქმედებს სიგნალიზაციის სიტემა (კვამლის დეტექტორები). 2019 წლის 31 ოქტომბერს, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე, სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობამ მიწერილობა #1775 გადასცა სკოლას. მიწერილობით დგინდება, რომ გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, რომელიც **არ არის** სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში. მიწერილობით სკოლას დაევალა გარკვეული ღონისძიებების შესრულება შესრულების ვადების მითითებით. აღსანიშნავია, რომ შემოწმების დროს გამოვლენილი უმეტესი დარღვევის აღმოსაფხვრელად, სკოლას დრო აქვს, თუმცა სამი პუნქტი, 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით უნდა შეესრულებინათ. მათგან ერთი, „112“-ის სატელეფონო ნომრის გამოკვრა შესრულებულია. რაც შეეხება პირველ სართულზე მოწყობილი სათავსოს მოშლას, **სკოლას არ** ჰქონდა შესრულებული. ასევე სკოლამ **ვერ წარმოგვიდგინა** სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვასა და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემის ექსპლუატაციაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, მათ შეკეთებაზე და გამოყენებისთვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ დაწერილი ბრძანება. სკოლაში, 2017 წლის 10 მარტს ბრძანება #2/12-ით დამტკიცებულია საგანგებო შტაბი. **იხ. დანართი #20**
მტკიცებულებები/ ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ 2017 წლის 10 მარტის ბრძანება #2/12; სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე, სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის 2019 წლის 31 ოქტომბრის მიწერილობა #1775; მიღება-ჩაბარების აქტი; გადასამუხტი ცეცხლმაქრების და სახანძრო მაუწყებელი სიგნალიზაციის შეძენა-მონტაჟის ინვოისი.
შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, რომელიც **არ არის** სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში. სკოლაში, 2017 წლის 10 მარტს ბრძანება #2/12-ით დამტკიცებულია საგანგებო შტაბი.
მტკიცებულებები/ ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ 2017 წლის 10 მარტის ბრძანება #2/12; სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე, სახელმწიფო სახანძრო

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის 2019 წლის 31 ოქტომბრის მიწერილობა #1775;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს ექიმი და მისთვის გამოყოფილი ექიმის კაბინეტი. კაბინეტში განთავსებულია შემდეგი ინვენტარი: მაგიდა და სკამი; პაციენტის გასასინჯი ტახტი; მედიკამენტების კარადა; ოთახში იყო სველი წერტილი, თუმცა მხოლოდ ცივი წყალი მოდიოდა (დირექტორის განმარტებით, ყოველთვის არის ცხელი წყალი და მისთვის აუხსნელი იყო იმ დღეს რა მოხდა). სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობაში არ არის ისეთი აუცილებელი რესურსები, როგორიცაა: მაცივარი, სამანიპულაციო მაგიდა; სიმაღლის საზომი; სანტიმეტრი; სასწორი; დინამომეტრი; ტონომეტრი/სფიგმომანომეტრი; სტეტოსკოპი; გლუკომეტრი; ინჰალატორი; რეზინის ლახტი; გამადიდებელი ლუპა; რეზინის სათბური; ყინულის ბუშტი; სამედიცინო მაკრატელი; პინცეტი; „პირით-პირში“ სუნთქვის საშუალება; საკაცე; ფიქსატორი მოტეხილობისთვის. დათვალიერებისას ვნახეთ, რომ სკოლაში, პირველადი დახმარებისთვის აუცილებელი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ყველა ძირითადი მედიკამენტი და საშუალება შესყიდულია. წამალს ვარგისობის ორი ვადა აქვს. პირველი შეფუთვაზეა მითითებული, მაგრამ ეს რიცხვი მიუთითებს წამლის ვარგისობაზე გახსნამდე. გახსნის შემდეგ მედიკამენტი გარემოსთან ქიმიურ რეაქციაში შედის და მისი გამოყენების ვადაც იცვლება. თვალის, ყურის, ცხვირის წვეთები გახსნის შემდეგ ერთიდან სამ თვემდე ვარგისია, მალამოები – ექვს თვემდე. არ შეიძლება სუსპენზიის შენახვა თვეზე მეტხანს. ყველა წამალს დაწერილი ჰქონდა გახსნის თარიღი და ამ რიცხვიდან დაცული იყო მისი ვარგისობის ვადა. **სკოლას ეს წესი ზედმიწევნით ჰქონდა დაცული.** სასურველია, თუ სკოლა დამატებით შეიძენს ცენტრალური მოქმედების საშუალებას (მაგ. კეტოროლაკს); იოდს (5% სპ.ხნარს); ბრილიანტის მწვანეს (1% ან 2%); ბაქტერიოციდულ პლასტირს ჭრილობებისთვის. სკოლის ექიმის ფუნქციები და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მექანიზმები გაწერილია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ ექიმის დებულებაში, ასევე გაწერილია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცედურა. **იხ. დანართი #21** ექიმმა ვერ წარმოადგინა სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგისა და კონტროლის ამსახველი მასალა, ვერც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 მაისის „სასკოლო კვების ორგანიზების შესახებ რეკომენდაციის დამტკიცების თაობაზე“ N 410 ბრძანებით მიზანშეწონილად განსაზღვრული აკრძალული პროდუქტებისა და სასკოლო კვების ობიექტის მიმართ წაყენებული მოთხოვნების მონიტორინგის ამსახველი დოკუმენტები. მეტიც, საუბრის დროს აცხადებდა, რომ ეს მისი საქმე არ იყო. ექიმის დებულებაში მუხლი 2-ის 1.3. პუნქტით კი მისთვის ეს მოვალეობები

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	განსაზღვრულია. სასურველია, მოსწავლეების თუ სკოლაში დასაქმებული სხვა პირების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შეგროვება-დამუშავება მაქსიმალურად ემსახურებოდეს ექიმის დებულებით განსაზღვრული მიზნების შესრულებას და ხორციელდებოდეს მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით.
მტკიცებულებები/ ინდიკატორები:	ინტერვიუს შედგები; ოთახის ვიზუალური დათვალიერება; მედიკამენტების შესყიდვების დოკუმენტაციის დათვალიერების შედეგები; გამოყენებული (გახსნილი) და გამოსაყენებელი მედიკამენტები; სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების გაწერილი დებულება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საქართველოს განათლების , მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების “ პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სკოლას შესათანხმებლად გაგზავნილი აქვს

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, რომელზეც დასტური პასუხი სკოლას **ჯერ არ მიუღია.** სკოლის კუთვნილი ტერიტორია შემოღობილია. შესასვლელში განთავსებულია მცირე ზომის დაცვის ჯიხური. სკოლას ემსახურება დარაჯი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხოებასა და შენობაში უცხო პირის მანქანით გადაადგილების კონტროლს, თუმცა არ მიმდინარეობს შესაბამისი ჟურნალის წარმოება (უცხო პირის მონაცემებისა და ვიზიტის მიზნის აღრიცხვა). სკოლაში მოქმედებს თანამშრომელთა შესვლა-გასვლის ელ. ტაბელი. სკოლის შენობაში, ფოიეში არავინ აკონტროლებს შემოსასვლელ კარს (გარდა კამერებისა) და არც მორიგე მასწავლებლები მინახავს სართულზე. როდესაც სკოლის შემოვლის დროს ერთი მოსწავლე, გაკვეთილის მიმდინარეობისას სხვადასხვა სართულზე დავაფიქსირე, ვიკითხე, ვინ უზრუნველყოფდა მასზე მეთვალყურეობას, რაზეც დირექტორმა თქვა, რომ ჩვენი ვიზიტის გამო იყო დაკავებული და გამორჩა (ვიკითხე მექანიზმის შესახებ და პასუხად ფაქტი ამიხსნეს). სკოლაში შემუშავებულია მოსწავლის ნებართვის ქაღალდი იმ შემთხვევისთვის, თუ მოსწავლეს ვადაზე ადრე უნდა სკოლის დატოვება. როგორც დარაჯთან და მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს გამოვარკვიე, ეზოს დატოვებისას, მოსწავლეები დარაჯს აჩვენებენ ამ ქაღალდს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს წესრიგის დაცვის მექანიზმები გაწერილი, მასწავლებლების მხრიდან გამოიკვეთა ჟურნალის წარმოების წესის დარღვევის ფაქტები, თუმცა სკოლის ადმინისტრაციას არ ჰქონდა განხორციელებული სათანადო რეაგირება. მაგ. მეთერთმეტე კლასში (გაკვეთილის დასრულებას აკლდა 10 წუთი) კლასში არ იმყოფებოდა 4 მოსწავლე. მასწავლებელს არ ჰქონდა ჟურნალი შევსებული. აგვიხნა, რომ 3

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	მოსწავლე (ვაჟი) ერთდროულად გაშვებული ჰყავდა საპირფარეშოში, დანარჩენი ყველა ესწრებოდა. სიის გადამოწმების შედეგად აღმოვაჩინეთ, რომ 1 მოსწავლე კიდევ აკლდებოდა სიით მითითებულ რაოდენობას. მასწავლებელმა ამჯერადაც იმართლა თავი, რომ დაავიწყდა დაეწერა „არა“ , რაც ჟურნალის წარმოების წესის დარღვევაა. ჩვენი იქ ყოფნის პერიოდში საპირფარეშოდან 1 მოსწავლე დაბრუნდა. დაირეკა ზარი, თუმცა ის დაპირებული 2 მოსწავლე არ გვინახავს დაბრუნებული. დირექტორს ვთხოვეთ ჟურნალი ჩამოეტანა, რათა შეგვძლებოდა შესაბამისი გვერდის გადაღება. ჩვენდა გასაკვირად, ჩამოტანილ ჟურნალში ის ერთი „გამორჩენილი“ „არა“ მასწავლებელს მაინც ჩაუწერია, რაზეც მოგვიანებით დირექტორმა ახსნა-განმარტება ჩამოართვა. მეთორმეტე კლასში, როდესაც მესამე გაკვეთილზე შევედით, ჟურნალი საერთოდ არ იყო კლასში, რაზეც დირექტორმა გვითხრა, რომ ეს იყო „აბიტური“ დასწრება თავისუფალი იყო და „არა“ არ ფიქსირდებოდა ჟურნალში. აღნიშნული სკოლის არც ერთ დოკუმენტში არ იყო გაწერილი, რაც მოცემული დასკვნის სხვა ნაწილში ვრცლად გვაქვს განხილული. აღსანიშნავია, რომ ამ საგანს თავად დირექტორი ასწავლიდა. მასწავლებელს არა თუ ის დღე, 20.02.2020-დან ჟურნალი არ ჰქონდა ნაწარმოები (შემოწმების დღე 2020 წლის 26 თებერვალი). საგნისთვის დათმობილ გვერდზე არ იყო მითითებული საგნის დასახელება და მასწავლებლის სახელი და გვარი. გარდა ამისა, ჟურნალში სხვადასხვა ტიპის დარღვევები აღმოვაჩინეთ, რაზეც დირექციის მხრიდან რეაგირება არ არის განხორციელებული. მაგ: ზოგიერთი მასწავლებელი იმ დღეს, როცა შემაჯამებელი სამუშაოა, ჟურნალის შესაბამის გვერდს არ ავსებს, სადაც დასწრება/არდასწრების დაფიქსირებაა შესაძლებელი. არის შემთხვევა, როცა ერთსა და იმავე დღეს მოსწავლეები შემაჯამებელ სამუშაოში, საკლასო და საშინაო დავალებაში არიან შეფასებულები. შენიშვნების გვერდი წესების დარღვევით არის ნაწარმოები. ჩანაწერების

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	მიხედვით შეუძლებელია იმის გარკვევა, რომელ მოსწავლეს ეხება შენიშვნის შინაარსი. შენიშვნებს შორის დატოვებულია დიდი ინტერვალები. შენიშვნის შინაარსი დამოწმებული არ არის დამრიგებლისა და უფლებამოსილი პირის ხელმოწერებით. **იხ. დანართი #22** **ვიზიტი განხორციელდა მეორე სემესტრში. ზემოთ ხსენებული შენიშვნების უმეტესი ნაწილი ეხება პირველ სემესტრს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ჟურნალებზე პასუხისმგებელი პირი სათანადოდ არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას (თუ სისტემატიურად ვერა, ჟურნალების გადამოწმება სემესტრის ბოლოს მაინც უნდა ხდებოდეს) და რაც მთავარია, სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების სისტემა არაეფექტურია.** ვიზიტის განმავლობაში, დასწრების განმეორებითი რევიზიისას, დარღვევები არ დაფიქსირებულა.
მტკიცებულებები/ ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; ინტერვიუს შედეგები; ელ. ტაბელი; საკლასო ჟურნალები.
შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობა-ნაგებობაში და მიმდებარე პერიმეტრის საკონტროლებლად დამონტაჟებულია და რეალურად მუშაობს 38. აქედან 3 მონიტორზე შესაძლებელია მხოლოდ 23 კამერის გამოსახულების დანახვა. 15 კამერას არ აქვს მონიტორი და დაინტერესების შემთხვევაში მექანიკურად უნდა მოხდეს ნაწილი კამერების ჩახსნა და ამ 15 კამერის დაერთება (ჩანაცვლება). გაფუჭებულია გამოსახულების შემკრები NVR ჩამწერი. ვიდეო კამერების პარამეტრები შეესაბამება შსს მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს #1143 ბრძანებით განსაზღვრულ პარამეტრებს და დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. სკოლის დერეფნები, კიბის უჯრედები, სასადილო, მიმდებარე გარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეო კამერებით. თუმცა უნდა ითქვას, რომ ვიდეო კამერები დამონტაჟებულია სასწავლო სივრცეშიც (მაგ. ხელოვნების, ინფორმატიკის ოთახებში ასევე სპორტ. დარბაზსა და სააქტო დარბაზში), რაც წარმოადგენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის დარღვევას.
მტკიცებულებები/ ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული აქვს წესდება, შინაგანაწესი, სკოლის დებულება და საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები. სკოლის შინაგანაწესი და დებულება უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურებს. შინაგანაწესში გაწერილია ზოგადი დებულებები, დაწესებულების პერსონალისთვის მოქმედი ზოგადი ეთიკური ნორმები; სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო; სიცოცხლის, ჯანმრთელობის, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები; წახალისების ფორმები; დისციპლინური წარმოება, გადაცდომა და მისთვის გათვალისწინებული დისციპლინური სახდელები; მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა უფლების დაცვის გარანტიები; დასაქმებულის სამსახურში მიღება, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; მოსწავლის მიღება/ჩარიცხვა და დასკვნითი დებულებები. სკოლას ასევე დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პედაგოგიური საბჭოს“ დებულება, სადაც გაწერილია ზოგადი დებულებები, პედ. საბჭოს მიზნები და ამოცანები,

	პედაგოგიური საბჭოს წევრობა, პედ. საბჭოს წევრის უფლებები და მოვალეობები, პედ. საბჭოს ფუნქციები, პედ. საბჭოს მდივნისა და თავმჯდომარის არჩევის წესი, პედ. საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციები, პედ. საბჭოს სხდომა და გადაწყვეტილების მიღების წესი.
მტკიცებულებები/ ინდიკატორები:	შინაგანაწესი; დებულება; წესდება; პედ. საბჭოს დებულება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი 2017-2023 წწ. (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამუშაო გეგმები, შეფასებისა და მონიტორინგის წესი. დოკუმენტაციის შესწავლისას ვნახე:

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	2017-2018 სასწავლო წლის SWOT ანალიზი; 2017-2018 სასწავლო წლის ანგარიში; 2017-2018 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ანალიზი; 2018-2019 სასწავლო წლის SWOT ანალიზი; 2018-2019 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; 2018-2019 სასწავლო წლის ანგარიში; 2018-2019 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ანალიზი; 2019-2020 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. როგორც ანგარიშები, ისე გეგმები ატარებს ფორმალურ ხასიათს, არ ეფუძნება საჭიროებების კვლევას და სიტუაციურ ანალიზს. ფორმალურია შეფასებისა და მონიტორინგის წესიც. ვიზიტისას სკოლის თვითშეფასების მექანიზმები ვერ ვნახეთ. ინტერვიუებიდან გაირკვა, რომ სკოლის მხრიდან გამოკითხვა ატარებს ფრაგმენტულ ხასიათს. შევსებული კითხვარები, რომლის საფუძველზეც იქნებოდა გაკეთებული ანალიზი და შემუშავებული ინტერვენციები, არ გვინახავს. ასევე წარმოადგინეს SWOT ანალიზი, თუმცა რომელი წლის და რა მონაცემების საფუძველზე გააკეთა ასეთი შეფასება სკოლას არ განუმარტავს.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	როგორც სსგ-ში, ისე ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არ არის ასახული ლოგიკური კავშირები გამოვლენილ საჭიროებებსა და ინტერვენციებს შორის. სკოლის ხარისხის კონტროლის სისტემა არაეფექტურია. **იხ. დანართი #16**
მტკიცებულებები/ ინდიკატორები:	ინტერვიუს შედეგები; 2017-2018 სასწავლო წლის SWOT ანალიზი; 2017-2018 სასწავლო წლის ანგარიში; 2017-2018 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ანალიზი; 2018-2019 სასწავლო წლის SWOT ანალიზი; 2018-2019 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; 2018-2019 სასწავლო წლის ანგარიში; 2018-2019 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ანალიზი; 2019-2020 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ წარმოადგინა შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის,დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალები. გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალში არ ხდება გასული დოკუმენტების ზუსტი აღრიცხვა. მაგ. **3/20** (03.02.20)-ის შემდეგ ჟურნალში გატარებულია დოკუმენტი ნომრით **3/23** (06.02.202). ასევე მოსწავლეთა ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალში, საფიე და რაფიე ილქანები ჩარიცხული ჰყავთ თითქოს 15.01.20 წელს #1/107 და #1/108 ბრძანებით მაშინ, როცა 2020 წლის 4 იანვარს #1/1 ბრძანებით (ახალი კალენდარული წლიდან ახალი ნუმერაცია) სემესტრული გამოცდა აქვთ დანიშნული ერთ-ერთი მოსწავლისთვის, 2020 წლის ხოლო 6 იანვარს # 1/2 ბრძანებით ამავე გამოცდის შედეგები აქვთ დამტკიცებული. გაუგებარია როგორ იქნებოდა 2020 წლის 15 იანვარს ბრძანებები გამოცემული ნომრებით 1/107 და 1/108 (2020 წლის 22 იანვარს ბრძანება #1/3-ით მე-8 კლასში ჩარიცხეს მოსწავლე). აქვე უნდა აღვნიშნო, რომ 2019 წელს 16 დეკემბერს ბრძანება #1/106-ით მოსწავლე ჰყავთ ამორიცხული, როგორც ჩანს, სწორედ ამ ნომრით დახურეს 2019 წელს მოსწავლეთა მოძრაობა. ჩემთვის უცნობი მიზეზის გამო საფიე და რაფიე ილქანების ჩარიცხვა უკანა რიცხვით არის განხორციელებული, რაც ხსნის ნუმერაციის არევას. **იხ. დანართი #14 და დანართი #15** სკოლას, 2020 წლის 31 იანვარს ბრძანება #2/6-ით დამტკიცებული აქვს ახალი სატიტულო ფურცლის ნიმუში. ასევე სკოლას 2020 წლის 3 თებერვალს ბრძანება #2/7-ით დამტკიცებული აქვს ბეჭდის ნიმუში. წარმოგვიდგინეს ძველი ბეჭდის განადგურების აქტიც და 2020 წლის 11 თებერვალს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ახალი ბეჭდისა და სატიტულო ფურცლის დამტკიცების შესახებ გაგზავნილი წერილი #3/36. **იხ. დანართი #23** ,,საქმისწარმოების ერთიანი წესების" დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ, 1999 წლის 1 ივლისის ბრძანებულება №414 წარმოადგენს იმ პრინციპებისა და ნორმატივების ერთობლიობას, რომელიც ადგენს ერთიან მოთხოვნებს დაწესებულებებში მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირებისა და დოკუმენტებზე მუშაობის ორგანიზაციისადმი. სხვა საკითხებთან ერთად, ეს ბრძანებულება განსაზღვრავს საქმეების გაფორმებისა და აკინძვის წესებს: მუხლი 59. საქმეების სრული ან ნაწილობრივი გაფორმება 1. შენახვის ვადების მიხედვით ხდება საქმეების სრული ან ნაწილობრივი გაფორმება. 2. სრულ ფორმირებას ექვემდებარება მუდმივად, ხანგრძლივად შესანახი და პირადი შემადგენლობის საქმეები. საქმეების სრული გაფორმება ითვალისწინებს: ა) საქმეების ჩაკერებას ან აკინძვას; ბ) ფურცლების დანომვრას საქმეში; გ) საქმის დამადასტურებელი წარწერის შედგენას (დანართი 10); დ) საჭიროების შემთხვევაში საქმის დოკუმენტაციის შიდა აღწერის შედგენას (დანართი 11); ე) საქმის გარეკანის (დანართი 12) რეკვიზიტებში საჭირო დაზუსტებათა (დაწესებულების

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	დასახელების, საქმისწარმოების ინდექსისა და საქმის სათაურის, საქმის თარიღის და ა.შ. დაზუსტება) შეტანას. 1.დროებით შესანახი საქმეები ექვემდებარება ნაწილობრივ გაფორმებას: დასაშვებია ეს საქმეები ინახებოდეს სწრაფჩამკერებში, არ მოხდეს დოკუმენტების ხელახალი სისტემატიზაცია საქმეში, არ დაინომროს საქმის ფურცლები, არ შედგეს დამადასტურებელი წარწერა. მუხლი 60. საქმის ჩაკერება (აკინძვა) 1.საქმეში შემავალი დოკუმენტები ოთხი ნაჩხვლეტით ჩაიკერება მუყაოს გარეკანში ან აიკინძება ისე, რომ თავისუფლად იკითხებოდეს ყველა დოკუმენტის ტექსტი, თარიღები, ვიზები და რეზოლუციები. ჩასაკერებლად (ასაკინძად) საქმეების მომზადების დროს დოკუმენტებიდან ამოიღებენ ლითონის სამაგრებსა და ქინძისთავებს. **სკოლაში დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმა, ზემოთ ხსენებული წესების დარღვევით არის აკინძული. დარღვეულია მთლიანობა, ნუმერაციის წესი, რაც დოკუმენტის სანდოობასთან დაკავშირებით აჩენს კითხვებს. ასევე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 20-ის თანახმად, დოკუმენტი, რომლის შინაარსი შეცვლილია ან დარღვეულია მთლიანობა, კარგავს ოფიციალურად დამოწმების უფლებას.** **გარდა ამისა, სკოლის მიერ წარმოდგენილი პედაგოგიური საბჭოს ოქმების დანომვრისას დარღვეულია ,,საქმისწარმოების ერთიანი წესების" დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ, 1999 წლის 1 ივლისის ბრძანებულება №414-ის მუხლი 20.**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	პუნქტი 6. რომლის თანახმად, ოქმები ინომრება რიგითი ნომრებით კალენდარული წლის ფარგლებში. ერთობლივი სხდომების ოქმებს უნდა ჰქონდეს შემადგენელი ნომრები, რომლებიც მოიცავს კოლეგიური ორგანოს მუშაობის მონაწილე დაწესებულებების ოქმების რიგით ნომრებს. იხ. დანართი #1, დანართი #2 და დანართი #5
მტკიცებულებები/ ინდიკატორები:	რეგისტრაციის ჟურნალები; პედაგოგიური საბჭოს ოქმები; სასკოლო სასწავლო გეგმა;
შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	2.2. სკოლის ყველა სართულზე მოაწყოს ტუალეტები გოგონებისა და ბიჭებისათვის. სკოლაში არსებულ ყველა ხელსაბანში უზრუნველყოს ხელის გასამშრალებლისა (ელექტროსაშრობი ან ქაღალდის პირსახოცის დისპენსერი) და ნარჩენების კალათის (უკონტაქტო) ხელმისაწვდომობა. ჰიგიენის საკიტხები შეიტანოს კურიკულუმში და ხელი შეუწყოს ხელების დაბანის, წყლისა და სანიტარიის საშუალებების სწორად მოხმარების, გამოყენების წესებისა და მოვლაპატრონობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. სკოლის ადმინისტრაციამ დაადგინოს სანიტარიული კვანძის დასუფთავების წესები, პერიოდულობა, დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარისა და გამოყენებული ჰიგიენური

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	საშუალებების ნუსხა. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის გამოყენებულ იქნას სპეციალურად ამ მიზნებისათვის განკუთვნილი, სათანადოდ მარკირებული ინვენტარი, რომელიც ინახება განცალკევებით და ექვემდებარება დამუშავებას ყოველი სამუშაო დღის დასრულების შემდგომ. 2.4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის (როგორც ვაჟი, ისე გოგონა) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოეწყოს სველი წერტილი; 2.6.1. შესრულდეს სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობამ მიწერილობა #1775; 2.6.3. სკოლის ექიმი დაიცვას სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ექიმის დებულება და უნდა შეასრულოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 მაისის „სასკოლო კვების ორგანიზების შესახებ რეკომენდაციის დამტკიცების თაობაზე“ N 410 ბრძანება; 2.6.4. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები სკოლამ მოიყვანოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში; სკოლამ დაიცვას „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2013 წლის 22 აგვისტოს ბრძანება # 114/ნ; დირექტორმა შეიმუშაოს თანამშრომელთა მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების ეფექტიანი მექანიზმი და იმოქმედოს

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	სკოლის მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის შესაბამისად; 2.6.5. სკოლამ დაიცვას პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი და სასწავლო სივრცეებიდან მოხსნას ვიდეო კამერები; 2.9. გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალში მოხდეს გასული დოკუმენტების ზუსტი აღრიცხვა. ოქმები დაინომროს რიგითი ნომრებით კალენდარული წლის ფარგლებში. ბრძანების გამოცემისას მოხდეს ნუმერაციის დადგენილი წესით მინიჭება. სასკოლო სასწავლო გეგმა აიკინძოს მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლამ დაიცვას გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა და ,,საქმისწარმოების ერთიანი წესების" დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ, 1999 წლის 1 ივლისის ბრძანებულება №414;
რჩევები:	1. სკოლამ მოაწესრიგოს სპორტული დარბაზის გასახდელები და ასევე, იზრუნოს მწვანესაფარიანი მოედანის მოწყობაზე; 2. სკოლის დამხმარე შენობაში, სადაც განთავსებულია სკოლის გენერატორი და საქვაბე, მოწესრიგდეს როგორც ელ. მეურნეობა, ასევე საქვაბე მეურნეობა. გამოიცვალოს კოროზირებული დეტალები და ჩაიხსნას დროებითი ელ. სადენები. 3. შპს „შთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის“ ბიბლიოთეკის გამოყენების წესი (დებულება) მუხლი 14. შესაბამისობაში მოვიდეს საინვენტარო წიგნის შაბლონთან. 4. სკოლამ უნდა შეძლოს საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისა და სკოლის მოსწავლეების ერთმანეთისგან იზოლირება. საბავშვო ბაღი უნდა სარგებლობდეს დამოუკიდებელი კარით.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	5. სასურველია, მოსწავლეების თუ სკოლაში დასაქმებული სხვა პირების ჯანმრთელობასთან დაკავშრებული შეგროვება-დამუშავება მაქსიმალურად ემსახურებოდეს ექიმის დებულებით განსაზღვრული მიზნების შესრულებას და ხორციელდებოდეს მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით. 6. მოხდეს ვიდეომეთვალყურეობის სიტემის მოწესრიგება; 7. როგორც სსგ-ში, ისე ერთწლიან სამოქმედო გეგმაში უნდა იყოს ასახული ლოგიკური კავშირები გამოვლენილ საჭიროებებსა და ინტერვენციებს შორის. სამოქმედო გეგმებით დასახული ამოცანების დადგენილ ვადებში შესრულებაზე დაწესებულებას უნდა გააჩნდეს ეფექტური კონტროლის მექანიზმი.
ხარვეზები:	სკოლის ყველა სართულზე არ არის მოწყობილი ტუალეტები გოგონებისა და ბიჭებისათვის. სკოლაში არსებულ ყველა ხელსაბანში უზრუნველყოფილი არ არის ხელის გასამშრალებლისა (ელექტროსაშრობი ან ქაღალდის პირსახოცის დისპენსერი) და ნარჩენების კალათის (უკონტაქტო) ხელმისაწვდომობა. მოსწავლეებს არ აქვთ გამომუშავებული ხელების დაბანის, წყლისა და სანიტარიის საშუალებების სწორად მოხმარების, გამოყენების წესებისა და მოვლაპატრონობის უნარ-ჩვევები. სკოლის ადმინისტრაციის მიერ დადგენილი არ არის სანიტარიული კვანძის დასუფთავების წესები, პერიოდულობა, დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარისა და გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის არ გამოიყენება სპეციალურად ამ მიზნებისათვის განკუთვნილი, სათანადოდ მარკირებული ინვენტარი, რომელიც ინახება განცალკევებით და ექვემდებარება დამუშავებას ყოველი სამუშაო დღის დასრულების შემდგომ.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ამით დარღვეულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის №01-40/ო ბრძანებით დამტკიცებულ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციასთან (გაიდლაინი - წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში); სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის (როგორც ვაჟი, ისე გოგონა) არ არსებობს შესაბამისად მოწყობილი სველი წერტილი; არ არის დაცული სველ წერტილში შესასვლელი მინიმალური ზომები ა) 122 × 142 სმ (როცა შესვლა ხდება განივი მხრიდან) ბ) 122 × 167 სმ (როცა შესვლა ხდება გრძივი მხრიდან). **ამით დარღვეულია საქართველოს მთავრობის N41-ე დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემეტების ტექნიკური რეგლამენტის თაობაზე“.** გამოკრული საევაკუაციო გეგმები არ არის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში. არ არის მოშლილი კიბის ქვემოთ მოწყობილი სათავსო. **ამით დარღვეულია სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობამ მიწერილობა #1775;** არ ხდება სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგი და კონტროლი. **ამით დარღვეულია „სასკოლო კვების ორგანიზების შესახებ რეკომენდაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 მაისის N 410 ბრძანება და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის №01-40/ო**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ბრძანებით დამტკიცებულ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციასთან (გაიდლაინი - წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში); დადგენილი წესით არ ხდება მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა. მასწავლებლების მხრიდან ჟურნალის წარმოება ხდება ხარვეზებით. **ჟურნალებზე პასუხისმგებელი პირი სათანადოდ არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და რაც მთავარია, სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების სისტემა არაეფექტურია.** **ამით დარღვეულია „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2013 წლის 22 აგვისტოს ბრძანება # 114/ნ ბრძანება;** სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებული არ არის ვიდეოთვალთვალის შესახებ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი. ვიდეოთვალთვალის განხორციელება ხდება საკლასო ოთახში. **ამით დარღვეულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი.** გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალში არ ხდება გასული დოკუმენტების ზუსტი აღრიცხვა. ოქმები არ ინომრება რიგითი ნომრებით კალენდარული წლის ფარგლებში. ბრძანების გამოცემისას არ ხდება ნუმერაციის დადგენილი წესით მინიჭება. ერთი და იგივე ბრძანებას აქვს ორი ნომერი და ორი თარიღი. ერთი და იგივე ნომრით გამოცემულია სხვადასხვა ბრძანებები.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	დარღვეულია სასკოლო სასწავლო გეგმის მთლიანობა. **ამით დარღვეულია ,,საქმისწარმოების ერთიანი წესების" დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ, 1999 წლის 1 ივლისის ბრძანებულება №414;**
სტანდარტის შეფასება	☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სკოლის ბაზის მიხედვით სკოლაში ირიცხება 59 თანამშრომელი. მათგან დირექტორი 1 საშტატო ერთეული; დირექტორის მოადგილე - 3 (მათგან ორი ამავე დროს მასწავლებელია); ბუღალტერი - 2; ბიბლიოთეკარი - 1; დამლაგებელი - 3; დარაჯი და დაცვა - 6; ლაბორანტი - 1; მუშა - 2; უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი - 1; საინფორმაციო მენეჯერი - 1; სკოლის ექიმი - 1; იურისტი - 1; მასწავლებელი - 38. მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზის მიხედვით სკოლას ჰყავს 224 მოსწავლე, სკოლაში არის ყველა კლასი პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით, ამასთან მე-7 კლასიდან მე-11 კლასის ჩათვლით ორ-ორი პარალელური კლასებია, დანარჩენი თითო კლასია.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი
მტკიცებულებები/ ინდიკატორები:	სასკოლო სასწავლო გეგმა - საათობრივი ბადე; მართვის საინფორმაციო სისტემიდან ამობეჭდილი ბაზა „პერსონალთა მონაცემები“
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	**38**
შემცვლელი/მოწვეული/მაძიებელი	**1/2/2**
პრაქტიკოსი მასწავლებლი	**14**
უფროსი მასწავლებლი	**18**
წამყვანი მასწავლებლი	**1**
მენტორის სტატუსი	**0**

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის 38 მასწავლებლიდან 33-ს უდასტურდება კვალიფიკაცია და გააჩნია პრაქტიკოსი, უფროსი ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსი. დარჩენილი 5 პედაგოგიდან 2 - მასწავლებლის მაძიებელია და მაძიებლობა დადასტურებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ, მას შემდეგ, რაც სკოლამ ისინი შეარჩია კონკურსის წესით დასაქმების ვებ-გვერდიდან http://teacherjobs.ge/; 1 მასწავლებელი მიღებულია დროებით არ მყოფი მასწავლებლის შემცვლელად, ხოლო 2 - მოწვეული მასწავლებლის სტატუსით. მოწვეული მასწავლებლების შემთხვევაში დაცულია მათზე საათობრივი დატვირთვის შეზღუდვა და დატვირთვა არ აღემატება მასწავლებლის სრული დატვირთვის 50% - ს, ანუ 9 საათს.
მტკიცებულებები/ ინდიკატორები:	მართვის საინფორმაციო სისტემიდან ამობეჭდილი ბაზა „მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა“ დასაქმების ვებ-გვერდი http://teacherjobs.ge/;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან	სკოლის შინაგანაწესში შემუშავებულია თანამშრომელთა სამსახურში მიღების წესი, რომლის მიხედვითაც მასწავლებლები მიიღებიან კონკურსის წესით, სხვა თანამშრომლები

შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	კი - დირექტორთან გასაუბრებით, თუმცა დირექტორის გადაწყვეტილებით არა პედაგოგი თანამშრომლების მიღებისას შეიძლება გამოცხადდეს კონკურსი. შინაგანაწესით ასევე განსაზღვრულია ინკლუზიურ განათლებაში ჩართული პედაგოგის სამსახურში მიღება, რომელიც უნდა განხორციელდეს ასევე კონკურსის გზით. სკოლაში მიღებულ თანამშრომელთან ფორმდება ხელშეკრულება. შინაგანაწესით განსაზღვრულია დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც უნდა წარმოადგინოს პირმა და ინახებოდეს თანამშრომლის პირად საქმეში. ვიზიტის პერიოდისთვის სკოლას შერჩეული ჰყავდა ახალი თანამშრომლების გარკვეული კატეგორია, რომელთა პირად საქმეები არ იყო დაკომპლექტებული იმ აუცილებელი დოკუმენტებით, რომლებიც განსაზღვრულია შინაგანაწესით, თუმცა ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლამ მოაწესრიგა აღნიშნული პირადი საქმეები და მხოლოდ რამდენიმე თანამშრომლის პირად საქმეს აკლდა ფოტოსურათებით შევსება. შინაგანაწესში განსაზღვრულია თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულების შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები; ასევე წახალისების ფორმები და პირობები. წახალისების გამოყენებაზე გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი. ერთ შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. რაც შეეხება პასუხიმგებლობის სისტემას, დისციპლინურ გადაცდომებს განიხილავს და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი. განსაზღვრულია დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძვლები, ვადები, პირობები და სხვა. შინაგანაწესში ერთ პუნქტში მოცემულია დისციპლინური გადაცდომების სახეები, ხოლო მეორე პუნქტში დისციპლინური სახდელების სახეები. კონკრეტული გადაცდომისთვის განსაზღვრული არაა კონკრეტული სახდელი. დისციპლინური სახდელის დაკისრების სახეს არჩევს დირექტორი. ერთი დისციპლინური გადაცდომისთვის შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ერთი დისციპლინური

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	სახდელი. **იხ. დანართი#13**
მტკიცებულებები/ ინდიკატორები:	სკოლის შინაგანაწესი; თანამშრომელთა პირადი საქმეები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება.
მტკიცებულებები/ ინდიკატორები:	თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს „ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები“, რომელიც დამტკიცებულია 2016 წლის 28 ოქტომბერს ბრძანება N1197. დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნები, ამოცანები, მართვა, განსაზღვრულია ის აქტივობები, რომელიც ხელს შეუწყობს პროფესიულ განვითარება, მათ შორისაა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი აქტივობები, რომელთა შორისაა გაკვეთილზე ურთიერთდასწრება და შემდგომი ანალიზი; სამუშაო შეხვედრები; შიდა ტრენინგები, რომელსაც უნდა ატარებდნენ სკოლის დირექტორი, ფასილიტატორები, კათედრის ხელმძღვანელები (მუხლი 5). ინტერვიურებისას მასწავლებლებმა დაადასტურეს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, შემდეგ განხილვა და რეკომენდაციების გაცემა. ამის საპირისპიროდ, სკოლის დირექტორმა არ დაადასტურა შიდა ტრენინგების ჩატარება, თუმცა განაცხადა, რომ სკოლა აქტიურად აწვდის მასწავლებლებს ინფორმაციას გარე ტრენინგების შესახებ და მათი სურვილის შემთხვევაში, ხელს უწყობს მოქნილი გაკვეთილების ცხრილის შეთავაზებაზე, ან ჩამნაცვლებელი მასწავლებლით უზრუნველყოფაზე. გარდა ამისა, სკოლა ჩართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში, სკოლაში შექმნილია მასწავლებლის შეფასების ჯგუფის დებულება, რომლის მიხედვით სკოლაში შექმნილია შეფასების ერთი ჯგუფი სკოლის დირექტორის თავმჯდომარეობით, სამი ფასილიტატორითა და კათედრების თითო წარმომადგენლით. ამ მიმართულებით მასწავლებლები ზრუნავენ საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე და სხვადასხვა აქტივობებით ახერხებენ კიდეც ამას.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

მტკიცებულებები/ ინდიკატორები:	მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები(დოკუმენტები, ინტერვიუ და სხვა).
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო საზოგადოება ძალიან მრავალეროვან, მრავალეთნიკურ და მრავალრელიგიურ კუთვნილების წარმომადგენლებს აერთიანებს. მიუხედავად ამისა, სკოლაში არ იგრძნობა ცალკეული ჯგუფების არსებობა და გათიშულობა. როგორც მოსწავლები, ასევე მშობლები ინტერვიუირებისას აღნიშნავდნენ, რომ თითოეულ კლასში მეგობრული, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთზრუნვის სიტუაციაა. მშობლები ხაზს უსვამდნენ, რომ მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათი შვილები განსხვავებული კულტურის მქონე საზოგადოების ნაწილი არიან და ბავშობიდანვე ნაზიარებნი არიან ტოლერანტულ და დემოკრატიულ ღირებულებებს. განსაკუთრებით აღნიშნავდნენ იმას, რომ მათი შვილი სკოლის ტერიტორიაზე დაცულ გარემოში იმყოფებიან და ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ აირჩიეს ეს სკოლა არის დაცულობა.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სკოლის ფოიეში, საკლასო ოთახებსა და დერეფნებში გამოკრულია მოსწავლეთა შემოქმედებითი აქტივობის, სპორტული მიღწევებისა და სასწავლო პროექტების ამსახველი მასალები, მედლები, ნახატები, დიპლომები რაც იმის მიმანიშნებელია, რომ მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ საკუთარი შესაძლებლობების იმგვარად გამოხატვა, როგორ ეს მათ სურთ და შეუძლიათ.
მტკიცებულებები/ ინდიკატორები:	ვიზუალურად; ინტერვიუ მშობლებთან, მასწავლებლებთან, ბავშვებთან.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	3.3 სანქციების სისტემის მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად სკოლის მიერ დეკლარირებულ ყოველ დისციპლინური გადაცდომისთვის განსაზღვროს ის სახდელი (ან ორი სახდელი, სიმძიმის მიხედვით), რომელიც დაეკისრება თანამშრომელს, რათა გამოირიცხოს სახდელის დაკისრებისას სუბიექტური ფაქტორი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	3.5 „ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმებით“ განსაზღვრულია ტრენინგების ჩატარება, რეალურად კი ტრენინგების ჩატარებისთვის სკოლას რესურსი არ გააჩნია, ამიტომ სასურველია სკოლამ დოკუმენტებში ჩაწეროს ის რასაც აკეთებს, ან გააკეთოს ის რაც დოკუმენტებში უწერია
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი #1 სექტემბრის პედ. საბჭო - 7 ფურცლად;

დანართი #2 ამონარიდი სსგ - 51 ფურცლად;

დანართი #3 მესამე მოდელის დასაბუთება და წერილი - 6 ფურცლად;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

დანართი #4 ცხრილი - 10 ფურცლად;

დანართი #5 იანვრის პედ.საბჭო - 9 ფურცლად;

დანართი #6 არჩევით საგანზე წერილები - 2 ფურცლად;

დანართი #7 დირექტორის ახსნა-განმარტება სსგ-ზე - 1 ფურცლად;

დანართი #8 ექსტერნი - 18 ფურცლად;

დანართი #9 შემაჯამებლები - 61 ფურცლად;

დანართი #10 ინკლუზიური განათლება - 5 ფურცლად;

დანართი #11 აღიარება 10 - ფურცლად;

დანართი #12 მშობლების ინფორმირება - 11 ფურცლად;

დანართი #13 ამონარიდი შინაგანაწესიდან - 15 ფურცლად;

დანართი #14 მოსწავლეთა ბრძანებები - 4 ფურცლად;

დანართი #15 რეგისტრაციის ჟურნალები - 8 ფურცლად;

დანართი #16 SWOT, გეგმა, ანგარიში - 55 ფურცლად;

დანართი #17 მემორანდუმი - 4 ფურცლად;

დანართი #18 მატერიალური რესურსი - 7 ფურცლად;

126

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

დანართი #19 ბიბლიოთეკა - 8 ფურცლად;

დანართი #20 უსაფრთხოება - 8 ფურცლად;

დანართი #21 ექიმის დებულება - 6 ფურცლად;

დანართი #22 სასკოლო ჟურნალები - 12 ფურცლად;

დანართი #23 ბეჭედი, ტიტული - 10 ფურცლად;

დანართი #24 დირექტორის ბრძანება ავტორიზაციის ექსპერტებთან პასუხისმგებელი პირების დანიშვნაზე - 1 ფურცლად.

……. **ქალაქი თბილისი**……

…….**25.03.2020**……

(შევსების ადგილი) თარიღი

გვერდების რაოდენობა:

დასკვნა 153 გვ.

დანართები 326 გვ.

სულ 479 გვ.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ……
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ……
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ……

ბ.ა.